

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №36

2021 წლის 29 ივლისი

ქ. თბილისი

ინვესტიციების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14 მუხლისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს „ელექტროენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების შეფასების წესი“ (დანართი 1).
2. დამტკიცდეს „ბუნებრივი გაზის სექტორში ინვესტიციების შეფასების წესი“ (დანართი 2).
3. დამტკიცდეს „წყალმომარაგების სექტორში ინვესტიციების შეფასების წესი“ (დანართი 3).
4. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 22 ნოემბრის №27 დადგენილება „ინვესტიციების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“.
5. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ენერგეტიკისა და
წყალმომარაგების მარეგულირებელი
ეროვნული კომისიის თავმჯდომარე
კომისიის წევრი
კომისიის წევრი
კომისიის წევრი

დავით ნარმანია

გოჩა შონია
გიორგი ფანგანი
გიორგი ფრუიძე



ელექტროენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების შეფასების წესი

მუხლი 1. მიზანი და მოქმედების სფერო

1. ელექტროენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების შეფასების წესის (შემდგომში – წესი) მიზანია, განისაზღვროს სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოების საინვესტიციო გეგმებისა და მათი შემადგენელი საინვესტიციო პროექტების შემუშავების, წარდგენის, შეფასების, დამტკიცების, მონიტორინგისა და მათში ცვლილების შეტანის ძირითადი პრინციპები და კრიტერიუმები.
2. ელექტროენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების შეფასების წესის მიხედვით შეთანხმებული საინვესტიციო გეგმა აისახება სატარიფო გაანგარიშებაში სატარიფო მეთოდოლოგიით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ წესის მიზნებისთვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
 - ა) კომისია – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია;
 - ბ) კანონი – „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონი;
 - გ) საწარმო – ელექტროენერგიის გადაცემის და ელექტროენერგიის განაწილების სისტემის ოპერატორები, ასევე, ელექტროენერგიის მწარმოებლები;
 - დ) ელექტროენერგიის მწარმოებელი – ელექტროენერგიის წარმოების ის ლიცენზიატი, რომელსაც კომისია უდგენს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფს;
 - ე) საინვესტიციო პროექტი – საწარმოს მიერ ახალი მატერიალური ან/და არამატერიალური აქტივების შექმნის, შეძენის ან არსებული აქტივების ჩანაცვლების/კაპიტალური რემონტის განხორციელებისთვის აუცილებელ ღონისძიებათა ერთობლიობა, ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში, რომელიც იყოფა ქსელურ და არაქსელურ საინვესტიციო პროექტებად;
 - ვ) ქსელური საინვესტიციო პროექტები – ამ წესების მე-4 მუხლის „ა“ – „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული კატეგორიის საინვესტიციო პროექტები;
 - ზ) არაქსელური საინვესტიციო პროექტები – ამ წესების მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კატეგორიის საინვესტიციო პროექტები;
 - თ) საინვესტიციო გეგმა – საინვესტიციო პროექტების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს გამანაწილებელი და გადამცემი ქსელის განვითარების გეგმების ქსელურ საინვესტიციო პროექტებს არაქსელურ საინვესტიციო პროექტებს და წარმოების ლიცენზიატის ქსელურ და არაქსელურ საინვესტიციო პროექტებს;
 - ი) კაპიტალური რემონტი – სარემონტო სამუშაო, რომელიც ემსახურება არსებული აქტივის აღდგენას, ექსპლუატაციის ვადის გაზრდას ან/და ტექნიკური მახასიათებლების შეცვლა-გაუმჯობესებას, აქტივის რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის ან/და მოდერნიზაციის გზით;
 - კ) რეაბილიტაცია – არსებული აქტივის ან/და მისი ნაწილ(ებ)ის აღდგენა საწყის სპეციფიკაციამდე ან/და ექსპლუატაციის ვადის გაზრდა დაზიანებული/გაცვეთილი დეტალების შეკეთების ან/და შეცვლის გზით;
 - ლ) რეკონსტრუქცია – არსებული აქტივის ან/და მისი ნაწილ(ებ)ის არსობრივად შეცვლა, მათი ფიზიკური, ხარისხობრივი და თვისებრივი განახლების მიზნით;

- მ) მოდერნიზაცია – არსებული აქტივის ან/და მისი ნაწილ(ებ)ის ფუნქციონალური გაუმჯობესება ტექნიკური სიახლის ინტეგრირების გზით;
- ნ) დისკონტირების ფინანსური განაკვეთი – საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გამოიყენება საინვესტიციო პროექტების მომავალი წმინდა ფინანსური ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების დასადგენად;
- ო) დისკონტირების სოციალური განაკვეთი – საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გამოიყენება იმ საინვესტიციო პროექტების მომავალი წმინდა ეკონომიკური ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების დასადგენად, რომლებიც ეკონომიკურ და სოციალურ სარგებელს ქმნიან;
- პ) დისკონტირება – მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა დისკონტირების განაკვეთის მეშვეობით;
- ჟ) ფინანსური წმინდა მიმდინარე ღირებულება (FNPV) – საინვესტიციო პროექტის წმინდა ფინანსური სარგებლის (სარგებელს გამოკლებული ხარჯები) დისკონტირებული წლიური სიდიდეების ჯამი;
- რ) ეკონომიკური წმინდა მიმდინარე ღირებულება (ENPV) – ალტერნატიული ღირებულების გამოყენებით, ფულად გამოსახულებაში საინვესტიციო პროექტის ხარჯებისა და სარგებლის რაოდენობრივი შეფასების საფუძველზე, პროექტის წმინდა სარგებლის დისკონტირების სოციალური განაკვეთით დისკონტირებული წლიური სიდიდეების ჯამი;
- ს) ფორსმაჟორი – ნებისმიერი გაუთვალისწინებელი სიტუაცია ან ქმედება, რომელიც არ ექვემდებარება ამ წესებით განსაზღვრული პირების გავლენასა და კონტროლს და რომლის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნებოდა ამ პირების მიერ უკიდურესად ფრთხილი ზომების გატარებისა და მაქსიმალური გულმოდგინების გამოჩენის შემთხვევაშიც კი და რომელიც ხელს უშლის ამ პირებს მათი მოვალეობების შესრულებაში. სავარაუდო ფორსმაჟორული მოვლენებია: სტიქიური უბედურებები, გაფიცვები, ომი, აჯანყება, არეულობები, მეწყერი, ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, აფეთქებები ან უბედური შემთხვევები გადაცემისა ან გამანაწილებელი სისტემების შემადგენელ ნებისმიერ მოწყობილობაში ან სხვა ობიექტებში რომელიც აუცილებელია შესაბამისი მომსახურების გაწევისათვის, ან ქმედების განხორციელებისათვის და რომელთა ხარისხი და მასშტაბი შეუძლებელს ხდის შესაბამისი მომსახურების გაწევას ან ქმედების განხორციელებას;
- ტ) ურთიერთდაკავშირებული საინვესტიციო პროექტები – საწარმოს მიერ კომისიაში წარმოდგენილი საინვესტიციო პროექტის განხორციელებაზე დამოკიდებული ან/და მისი განხორციელებისთვის აუცილებელი (შემაჯსებელი) საინვესტიციო პროექტები.
2. წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც კანონში.

მუხლი 3. საინვესტიციო პროექტის შეფასების ზოგადი წესი

1. კომისია წარმოდგენილი საინვესტიციო პროექტების მიზანშეწონილობასა და გონივრულობას აფასებს აუცილებლობისა და ეფექტიანობის კრიტერიუმების გათვალისწინებით.
2. საინვესტიციო პროექტის აუცილებლად მიჩნევისთვის, შესაბამისმა საწარმომ უნდა დაასაბუთოს მისი განხორციელების საჭიროება ენერგეტიკული სისტემების უსაფრთხო, საიმედო და ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის.
3. საინვესტიციო პროექტის ეფექტიანად მიჩნევისთვის, შესაბამისმა საწარმომ უნდა დაასაბუთოს, რომ საინვესტიციო პროექტი დაგეგმილია დანახარჯების გონივრულობის პრინციპის საფუძველზე და მისი რაოდენობრივი სარგებელი აღემატება ტარიფებში გასათვალისწინებელ ამ პროექტის მთლიან ხარჯს.

მუხლი 4. საინვესტიციო პროექტების კლასიფიკაცია

საინვესტიციო პროექტები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- ა) კატეგორია I. ქსელის საიმედოობასთან/მდგრადობასთან და ეფექტიან ოპერირებასთან დაკავშირებული საინვესტიციო პროექტები – ქსელის რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია, მოდერნიზაცია ან/და არსებული, დაზიანებული ან მოძველებული აქტივის ჩანაცვლება;
- ბ) კატეგორია II. მიწოდების უსაფრთხოებასა და დივერსიფიკაციასთან დაკავშირებული საინვესტიციო პროექტები – მიწოდების უსაფრთხოებისა და დივერსიფიკაციის მიზნებისთვის, ელექტროენერგიის წარმოებისთვის აგრეთვე, ელექტროენერგიის გადამცემი და გამანაწილებელი ქსელის ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობაში განხორციელებული ინვესტიციები;
- გ) კატეგორია III. სისტემის განვითარებასა და გაფართოებასთან დაკავშირებული საინვესტიციო პროექტები – გაზრდილი/საპროგნოზო მოთხოვნის საპასუხოდ ელექტროენერგიის წარმოების მიზნებისთვის, ელექტროენერგიის გადამცემი და გამანაწილებელი ქსელის ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობაში განხორციელებული ინვესტიციები;
- დ) კატეგორია IV. სხვა ტიპის საინვესტიციო პროექტები – გარემოსდაცვითი, განახლებადი ენერგიის ინტეგრაციასთან ან/და ენერგოეფექტიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული პროექტები.
- ე) კატეგორია V. არაქსელური საინვესტიციო პროექტები – საინვესტიციო პროექტები, რომლებიც არ ხვდება I – IV კატეგორიით გათვალისწინებულ ქსელურ საინვესტიციო პროექტებში, მაგალითად, არამატერიალურ, საოფისე ინვენტარში, სატრანსპორტო საშუალებებში, ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებში, საკომუნიკაციო საშუალებებში, კომპიუტერულ ტექნიკასა და სხვადასხვა სპეციალურ მოწყობილობებში განსახორციელებელ ინვესტიციებთან დაკავშირებული პროექტები.

მუხლი 5. საინვესტიციო გეგმის წარდგენის პროცედურები

1. საინვესტიციო გეგმას შეიმუშავებს და კომისიაში შესათანხმებლად წარადგენს საწარმო. საინვესტიციო გეგმა უნდა შემუშავდეს ისე, რომ უზრუნველყოს საწარმოს საქმიანობის მაქსიმალური ეფექტიანობით განხორციელება, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით.
2. ელექტროენერგიის მწარმოებელი საინვესტიციო გეგმას კომისიას წარუდგენს ტარიფის გაანგარიშების წელს, არაუგვიანეს პირველი ივნისისა.
3. გადამცემი სისტემის ოპერატორი საინვესტიციო გეგმას კომისიას წარუდგენს ტარიფის გაანგარიშების წელს, არაუგვიანეს პირველი ივნისისა.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო გეგმა ამ წესით გათვალისწინებულ საკითხებთან ერთად უნდა მოიცავდეს კანონის 53-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ საინვესტიციო გეგმის წარდგენის წინა წელს დამტკიცებული გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ეხება მომდევნო სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის გათვალისწინებულ საინვესტიციო პროექტებს.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების მიუხედავად, გადამცემი სისტემის ოპერატორი ვალდებულია ყოველწლიურად კანონის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად კომისიას წარუდგინოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა.
6. ელექტროენერგიის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი საინვესტიციო გეგმას კომისიას წარუდგენს ტარიფის გაანგარიშების წელს, არაუგვიანეს პირველი ივნისისა.
7. ელექტროენერგიის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო გეგმა უნდა მოიცავდეს კომისიის მიერ გამანაწილებელი ქსელის წესების 52-ე მუხლის შესაბამისად შეთანხმებულ გამანაწილებელი ქსელის განვითარების გეგმის საინვესტიციო პროექტებს და არაქსელურ საინვესტიციო პროექტებს.
8. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების მიუხედავად, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი ვალდებულია ყოველწლიურად გამანაწილებელი ქსელის წესების 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად კომისიას წარუდგინოს გამანაწილებელი ქსელის განვითარების ხუთწლიანი გეგმა.
9. კომისია საწარმოების მიერ ტარიფის გაანგარიშების წელს წარმოდგენილ საინვესტიციო გეგმებს განიხილავს მისი მიღებიდან 90 კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში კომისია
- ა) ითანხმებს წარმოდგენილ საინვესტიციო გეგმას ან
 - ბ) წერილობით აცნობებს შესაბამის საწარმოს შენიშვნების ან და დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე, თუ საინვესტიციო გეგმა არ არის წარმოდგენილი კომისიის მიერ განსაზღვრული ფორმის შესაბამისად, წარმოდგენილია არასრულად, ან საჭიროა დამატებითი დოკუმენტაციისა და დასაბუთების წარმოდგენა. ასევე, საჭიროა პროექტის ალტერნატიული სცენარით განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების წარმოდგენა.
10. ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დადგომის შემთხვევაში კომისია საწარმოს განუსაზღვრავს დამატებით არაუმეტეს 45 კალენდარული დღის ვადას.
11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში საწარმოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის შემდგომ, კომისია შესწორებულ საინვესტიციო გეგმას განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას მისი შეთანხმების, ნაწილობრივი შეთანხმების ან შეთანხმებაზე უარის თქმის შესახებ.
12. კომისიისთვის ტარიფის გაანგარიშების წელს წარდგენილ საინვესტიციო გეგმაში საწარმომ უნდა წარადგინოს შემდეგი ინფორმაცია:
- ა) ერთიანი ინფორმაცია ყველა დაგეგმილი საინვესტიციო პროექტის შესახებ, ამ წესის დანართი №3-ით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად;
 - ბ) თითოეული ქსელური საინვესტიციო პროექტისთვის, ამ წესის დანართი №4-ის შესაბამისად მომზადებული საპროგნოზო ხარჯთაღრიცხვა;
 - გ) საინვესტიციო გეგმის პირველ წელს განსახორციელებელი თითოეული ქსელური საინვესტიციო პროექტისთვის, საპროექტო დოკუმენტაცია, გარდა პირველი კატეგორიის აგრეგირებული საინვესტიციო პროექტებისა;
 - დ) არაქსელური საინვესტიციო პროექტებისთვის, ამ წესის დანართი №5-ის შესაბამისად მომზადებული საპროგნოზო ხარჯთაღრიცხვა;
 - ე) ურთიერთდაკავშირებული საინვესტიციო პროექტების შესახებ ინფორმაცია (მიმდინარე სტატუსი და განხორციელების გრაფიკი);
 - ვ) პირველი კატეგორიის თითოეული საინვესტიციო პროექტისთვის, ავარიების სტატისტიკა, დეფექტური აქტები და გაზომვის ოქმები ან/და ინფორმაცია ჩატარებული რემონტების შესახებ.

13. ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, საწარმომ კომისიას უნდა წარუდგინოს ამ წესების დანართ №1-ში მოცემულ შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებული დოკუმენტები და ინფორმაცია.

15. კომისია უფლებამოსილია საწარმოს დამატებით მოსთხოვოს საინვესტიციო პროექტის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის წარდგენა.

16. კომისია უფლებამოსილია საწარმოს მოსთხოვოს საინვესტიციო პროექტის განხორციელების ალტერნატიული სცენარ(ებ)ის წარდგენა.

მუხლი 6. საინვესტიციო გეგმაში ცვლილების შეტანის პროცედურები

1. საწარმო უფლებამოსილია, მიმართოს კომისიას შეთანხმებულ საინვესტიციო გეგმაში ცვლილების შეტანის მოთხოვნით, თუ შეთანხმებული საინვესტიციო გეგმის ღირებულების წლიური ცვლილება 10%-ზე ნაკლებია.

2. შეთანხმებული საინვესტიციო გეგმის ღირებულების წლიურად არანაკლებ 10%-ით ცვლილების შემთხვევაში, საწარმო ვალდებულია მიმართოს კომისიას საინვესტიციო გეგმაში ცვლილების შეტანის მოთხოვნით.

3. საინვესტიციო გეგმაში ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული ცვლილება შეიძლება განხორციელდეს საწარმოს მხრიდან მისი საჭიროების დასაბუთების შემთხვევაში.

4. საინვესტიციო გეგმაში ცვლილების შეტანის მოთხოვნის განხილვა ხორციელდება ამ წესის მე-8 მუხლით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

5. კომისია შეისწავლის საინვესტიციო გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე მოთხოვნას და იღებს გადაწყვეტილებას მოთხოვნის შეთანხმების, ნაწილობრივი შეთანხმების ან შეთანხმებაზე უარის თქმის შესახებ.

6. კომისია, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტში აღნიშნული შემთხვევისა, სატარიფო რეგულირების მიზნებისათვის, უფლებამოსილია, გაითვალისწინოს, არ გაითვალისწინოს ან ნაწილობრივ გაითვალისწინოს წინასწარი შეთანხმების გარეშე განხორციელებული ინვესტიციები რეგულირებადი აქტივების ბაზაში.

7. წინასწარი შეთანხმების გარეშე განხორციელებული საინვესტიციო პროექტ(ებ)ი რეგულირებადი აქტივების ბაზაში, დანახარჯების გონივრულობის პრინციპის შესაბამისად, შესაძლებელია, მთლიანად იქნეს გათვალისწინებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საინვესტიციო პროექტ(ებ)ი განხორციელდა ფორსმაჟორული გარემოებით განადგურებული/დაზიანებული აქტივის აღდგენის მიზნით და, ამავდროულად, შესაბამისი შემთხვევის აღმოფხვრიდან 15 დღის ვადაში საწარმომ წერილობით აცნობა კომისიას ფორსმაჟორული გარემოების შედეგად კონკრეტული ქონების განადგურების/დაზიანების თაობაზე.

მუხლი 7. ტექნიკური მიზანშეწონილობის კრიტერიუმები

1. ელექტროენერგეტიკულ სექტორში საინვესტიციო პროექტის ტექნიკური მიზანშეწონილობის კრიტერიუმები მოიცავს:

ა) ელექტროენერგიის გადამცემი და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორებისთვის:

ა.ა) ელექტროენერგიის მიწოდების წყვეტების მაჩვენებლებს;

ა.ბ) მიუწოდებელი ელექტროენერგიის მოცულობის მაჩვენებელს;

ა.გ) ელექტროენერგიის დანაკარგების მაჩვენებელს;

ა.დ) ელექტროენერგიის ხარისხის მაჩვენებელს, მათ შორის, განაწილების სისტემის ოპერატორებისთვის, 35-110 კვ ძაბვის ორტრანსფორმატორიან გამანაწილებელ ქვესადგურში ერთი ძალოვანი ელემენტის (ტრანსფორმატორი, ამომრთველი ან/და სხვა) დაზიანების შემთხვევაში, ქვესადგურზე მიერთებული დატვირთვის დაკარგვის პროცენტული რაოდენობის შემცირების მაჩვენებელს;

ა.ე) ენერგიის განახლებადი წყაროების გამანაწილებელ ქსელში ინტეგრაციას.

ბ) ელექტროენერგიის მწარმოებლისათვის:

ბ.ა) მიუწოდებელი ელექტროენერგიის მოცულობის მაჩვენებელს;

ბ.ბ) ავარიების სტატისტიკას

ბ.გ) დაღვრილი წლის მოცულობის მაჩვენებლებს, თუ ეს უკანასკნელი გამოწვეული არ იყო გადამცემი სისტემის ოპერატორის დისპეტჩერის მითითებით..

მუხლი 8. საინვესტიციო პროექტების შეფასება

1. ამ წესის მე-4 მუხლის „ა“ – „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული I-IV კატეგორიების საინვესტიციო პროექტების შეფასება ხდება ამ წესის დანართი №1-ით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. დანართი №1-ით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით საინვესტიციო პროექტების შეთანხმების მიზნებისთვის, კომისია:

ა) ამოწმებს საწარმოს მიერ შეფასებულ, ამ წესის მე-7 მუხლით განსაზღვრულ ტექნიკური მიზანშეწონილობის კრიტერიუმებს. საინვესტიციო გეგმაში მოსახვედრად, საინვესტიციო პროექტ(ებ)ის განხორციელების შედეგად, უნდა უმჯობესდებოდეს ტექნიკური მიზანშეწონილობის არანაკლებ ერთი კრიტერიუმი;

ბ) შეისწავლის ფინანსური ანალიზის შედეგებს. საინვესტიციო გეგმაში მოსახვედრად, საინვესტიციო პროექტის ფინანსური წმინდა მიმდინარე ღირებულება (გამოითვლება დანართი №2-ში მოცემული ფინანსური ანალიზის მეთოდოლოგიის მიხედვით) უნდა აღემატებოდეს ნულს;

გ) შეისწავლის ეკონომიკური ანალიზის შედეგებს. საინვესტიციო გეგმაში მოსახვედრად, საინვესტიციო პროექტის ეკონომიკური წმინდა მიმდინარე ღირებულება უნდა აღემატებოდეს ნულს;

დ) აფასებს დანართი №4-ის მიხედვით მომზადებულ ინფორმაციას ინდივიდუალური საინვესტიციო პროექტის საპროგნოზო ხარჯების შესახებ. კომისია, ინდივიდუალური საინვესტიციო პროექტისთვის, შედარებითი ანალიზის (ბენჩმარკინგის), სამშენებლო ნორმებსა და წესებში მოცემულ ერთეულზე ნორმატიული ხარჯის, საბაზრო ფასებისა და საექსპერტო დასკვნების გამოყენებით, აფასებს ხარჯების გონივრულობასა და ეფექტიანობას;

ე) ამოწმებს სატარიფო რეგულირების პერიოდის პირველ წელს განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტებისთვის საჭირო ნებართვებს (მშენებლობის ნებართვა, ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობა და ა.შ) ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ვ) აფასებს საინვესტიციო პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური წყაროების ხელმისაწვდომობასა და გონივრულობას. შეფასების მიზნებისთვის საწარმომ უნდა დაასაბუთოს მის განკარგულებაში არსებული ან/და მოზიდული ფინანსური რესურსის შესაბამისობა საინვესტიციო პროექტის განსახორციელებლად საჭირო ფინანსურ რესურსებთან. კომისია არ შეითანხმებს საინვესტიციო პროექტს, რომლის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობას ან/და გონივრულობას საწარმო ვერ დაასაბუთებს;

ზ) აფასებს საინვესტიციო პროექტების ინდივიდუალურ და თითოეული კატეგორიის ყველა პროექტის ჯამურ გავლენას საწარმოს ტარიფზე. კომისია აფასებს, რამდენად მნიშვნელოვანია ტარიფზე გავლენა და უფლებამოსილია, საწარმოს მოსთხოვოს საინვესტიციო პროექტების დროში გაწერა და პრიორიტეტულობის განსაზღვრა;

თ) აფასებს საწარმოს მიერ მომზადებული საინვესტიციო პროექტის განხორციელების ალტერნატიულ სცენარ(ებ)ს.

3. საინვესტიციო გეგმაში შემავალი არაქსელური ტიპის ინვესტიციების შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, დანართი №5-ში მოცემული საპროგნოზო ხარჯების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, დანახარჯების მიზანშეწონილობისა და გონივრულობის პრინციპების გათვალისწინებით.

4. იმ სისტემის ოპერატორის საინვესტიციო პროექტები, რომელიც ემსახურება ქსელთან მიერთებულ 10 000-ზე ნაკლებ მომხმარებელს, შეფასდება მხოლოდ დაგეგმილი საინვესტიციო პროექტის შესახებ დანართი №3-ით, საპროგნოზო ხარჯების შესახებ დანართი №4-ით და დანართი №5-ით წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, დანახარჯების მიზანშეწონილობისა და გონივრულობის პრინციპების გათვალისწინებით.

5. თუ საინვესტიციო გეგმით გათვალისწინებული ცალკეული საინვესტიციო პროექტი არ აკმაყოფილებს ამ წესებით დადგენილ მოთხოვნებს, კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ასეთი პროექტის შეთანხმებაზე უარის თქმის შესახებ, რაც გავლენას არ ახდენს ამავე საინვესტიციო გეგმით გათვალისწინებული სხვა საინვესტიციო პროექტების შეფასების პროცესზე.

მუხლი 9. საინვესტიციო გეგმის განხორციელების კონტროლი

1. საწარმომ ყოველწლიურად 1 ივნისამდე, კომისიას უნდა წარუდგინოს ანგარიში გასული წლის განმავლობაში საინვესტიციო გეგმის ფაქტობრივი განხორციელების შესახებ.

2. საწარმომ 5 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების საინვესტიციო პროექტების განხორციელების თაობაზე ინფორმაცია კომისიას უნდა წარუდგინოს მთლიანი საინვესტიციო პროექტის დამთავრებისა და შესაბამისი ქონების/ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციაში მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

3. საწარმო ვალდებულია, კომისიაში წარადგინოს საინვესტიციო პროექტების ფაქტობრივი განხორციელების შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

ა) ერთიანი ინფორმაცია ყველა განხორციელებული საინვესტიციო პროექტის შესახებ, ამ წესის დანართი №6-ით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად;

ბ) საინვესტიციო პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი და მათზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი ქსელური საინვესტიციო პროექტებისთვის – დანართი №7-ით განსაზღვრული ფორმით, ხოლო, არაქსელური საინვესტიციო პროექტებისთვის – დანართი №5-ით განსაზღვრული ფორმით;

გ) საინვესტიციო პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, შესრულებული სამუშაოების და გახარჯული მოწყობილობა-დანადგარების ან/და ექსპლოატაციაში მიღების აქტი;

დ) განხორციელებული საინვესტიციო პროექტის ფოტომასალა.

4. საწარმო ახორციელებს თითოეული საინვესტიციო პროექტის დაგეგმილი და ფაქტობრივი ხარჯებისა და სამუშაოების (მათ შორის, ვადების) შედარებას და, განსხვავებების შემთხვევაში,

ვალდებულია, საინვესტიციო გეგმის ფაქტობრივი განხორციელების შესახებ ანგარიშში წარადგინოს შესაბამისი დასაბუთება.

5. კომისია შეისწავლის საწარმოს მიერ წარდგენილ წინა სატარიფო რეგულირების პერიოდის საინვესტიციო გეგმის ფაქტობრივი განხორციელების შესახებ ანგარიშს და მიიღებს გადაწყვეტილებას ფაქტობრივ და დაგეგმილ ინვესტიციებს შორის სხვაობის მომდევნო სატარიფო რეგულირების პერიოდის ტარიფში გათვალისწინების ან გაუთვალისწინებლობის შესახებ.

მუხლი 10. საინვესტიციო გეგმის განხორციელების კონტროლი

1. ამ დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტი და მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს დადგენილების მიღებიდან 2 წლის ვადაში.

საინვესტიციო პროექტების შეფასების კრიტერიუმები

[illegible]

კატეგორია IV. სხვა ტიპის საინვესტიციო პროექტები.	• ტექნიკური მიზანშეწონილობის კრიტერიუმები, თუ პროექტის ღირებულება < 5 მლნ ლარი¹ • ეკონომიკური ანალიზი, თუ პროექტის ღირებულება > 5 მლნ ლარი⁵ • პროექტის განხორციელების სულ ცოტა ერთი ალტერნატიული სცენარ(ებ)ი, თუ პროექტის ღირებულება > 5 მლნ ლარი • ხარჯების გონივრულობა და ეფექტიანობა პირველი წლის საინვესტიციო პროექტების საჭირო ნებართვები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) • საწარმოს მიერ ფინანსურ წყაროებზე ხელმისაწვდომობის დასაბუთება • გავლენა ტარიფზე, თუ პროექტის ღირებულება > 5 მლნ ლარი³	• ტექნიკური მიზანშეწონილობის კრიტერიუმები, თუ პროექტის ღირებულება < 1 მლნ ლარი¹ • ეკონომიკური ანალიზი, თუ პროექტის ღირებულება > 1 მლნ ლარი⁵ • ხარჯების გონივრულობა და ეფექტიანობა პირველი წლის საინვესტიციო პროექტების საჭირო ნებართვები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) • საწარმოს მიერ ფინანსურ წყაროებზე ხელმისაწვდომობის დასაბუთება • გავლენა ტარიფზე, თუ პროექტის ღირებულება > 1 მლნ ლარი³	• ტექნიკური მიზანშეწონილობის კრიტერიუმები, თუ პროექტის ღირებულება < 5 მლნ ლარი¹ • ეკონომიკური ანალიზი, თუ პროექტის ღირებულება > 5 მლნ ლარი⁵ • პროექტის განხორციელების სულ ცოტა ერთი ალტერნატიული სცენარი, თუ პროექტის ღირებულება > 5 მლნ ლარი • ხარჯების გონივრულობა და ეფექტიანობა პირველი წლის საინვესტიციო პროექტების საჭირო ნებართვები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) • საწარმოს მიერ ფინანსურ წყაროებზე ხელმისაწვდომობის დასაბუთება • გავლენა ტარიფზე, თუ პროექტის ღირებულება > 5 მლნ ლარი³
--	--	--	--

შენიშვნა:

¹ ტექნიკური მიზანშეწონილობის კრიტერიუმები მზადდება ჯამურად 5 მლნ ლარზე ნაკლები ღირებულების საინვესტიციო პროექტებისთვის.

² საინვესტიციო პროექტი მისაღებია, თუ ENPV > 0.

³ მოცემული კატეგორიის ყველა საინვესტიციო პროექტის განხორციელების ჯამური გავლენა ტარიფზე ასევე იქნება შეფასებული (ტარიფზე გავლენა ფასდება კომისიის მიერ).

⁴ საინვესტიციო პროექტი მისაღებია, თუ FNPV > 0. საინვესტიციო პროექტები, რომელთათვის FNPV < 0, მაგრამ ინვესტიცია უზრუნველყოფილია მესამე მხარის დაფინანსებით, იქნება მიღებული.

⁵ კომისია ატყობინებს მთავრობას საინვესტიციო პროექტის ტარიფზე გავლენის შესახებ იმ შემთხვევაში თუ ENPV < 0.

დანართი №2

ფინანსური ანალიზის მეთოდოლოგია

$$FNPV = \sum_{i=1}^n \frac{CF_i}{(1+r)^i} - I$$

სადაც:

I - საინვესტიციო პროექტის ღირებულება;

r - საწარმოს კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC);

n - საინვესტიციო პროექტით შექმნილი აქტივის სარგებლობის პერიოდი¹;

CF_i - საინვესტიციო პროექტის განხორციელების შედეგად i წლის ბოლოს მიღებული წმინდა შემოსავალი.

პერიოდების მიხედვით ფულადი ნაკადების გამოთვლა ხდება შემდეგი ფორმულით:

$$CF_i = C_m \cdot T_d \cdot 12 - E_y$$

სადაც:

C_m - საინვესტიციო პროექტის განხორციელების შედეგად გაზრდილი საშუალო ყოველთვიური მოხმარება;

T_d - სისტემის ოპერატორის არსებული ტარიფი;

E_y - საინვესტიციო პროექტის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი წლიური საოპერაციო ხარჯი, პროექტის საპროცენტო ხარჯის ჩათვლით.

შენიშვნა:

¹ იგულისხმება, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ნული.

ერთიანი ინფორმაცია დაგეგმილი საინვესტიციო პროექტის შესახებ

პროექტის ნომერი	პროექტის დასახელება	მდებარეობა (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი)	ურთიერთდაკავშ. პროექტის დასახელება	კატეგორია	მიზანი	ტექნიკური აღწერილობა	ინვესტიცია (ლარი)	დაფინანსების წყარო (ლარი)			მიმდინარე სტატუსი	ექსპლოატაციაში შესვლის დრო	ექსპლუატაციიდან გასული აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულება (ლარი)	დასაბუთება
								საკუთარი რესურსი	საკრედიტო რესურსი	მესამე მხარე				
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
	პროექტები სრულად													
P.1	ქსელური საინვესტიციო პროექტები													
P.1.1														
P.1.2														
P.1...														
P.2	არაქსელური საინვესტიციო პროექტები													
P.2.1														
P.2.2														
P.2...														

ინფორმაცია ელექტროენერგეტიკის ქსელური საინვესტიციო პროექტების სამუშაოების საპროგნოზო მოცულობებისა და ღირებულებების შესახებ

პროექტის ნომერი	პროექტის დასახელება	ექსპლუატ აციაში მიღების წელი	მშენებლო სახეობა	ძაბვა	განლაგება	მოწყობილობა დანადგარის/გამტა რის ტიპი	გამტარუნარიანობა/ სიმძლავრე	სიგრძე/ რაოდენ ობა	სამუშაოები	მახასიათებელი (ტიპი)	განზომ ილება	რაოდ.	ღირებ. დღგ-ს გარეშე	მთლიანი ღირებულება დღგ-ს გარეშე
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
100001			ხაზობრივი ნაგებობა		მიწისზედა	საჰაერო ელექტროგადამცემ ი ხაზი			სადენი		გრმ.მ	-	-	-
									საყრდენი		ცალი	-	-	
									ამომრთველი/გამთიშველი		ცალი	-	-	
									გრუნტის დამუშავება (ამოთხრა ჩაყრა)		კუბ.მ	-	-	
									მასალა: ბალასტი + ქვიშა		კუბ.მ	-	-	
									მასალა: ბეტონი		კუბ.მ	-	-	
									ზედმეტი გრუნტის გატანა		კუბ.მ	-	-	
									ასფალტის (მოჭრა + დაგება)		კუბ.მ	-	-	
			ქვესადგურე ბი/უჯრედე ბი						ტრანსფორმატორი		ცალი	-	-	-
									ამომრთველი		ცალი	-	-	
									გამთიშველი		ცალი	-	-	
									უჯრედი (კომპლექტი)		ცალი	-	-	
									მზომი მოწყობილობები		ცალი	-	-	
									საკომუნიკაციო ქსელები/სამუშალებები		ცალი	-	-	
									გრუნტის დამუშავება (ამოთხრა + ჩაყრა)		კუბ.მ	-	-	
									მასალა: ბალასტი + ქვიშა		კუბ.მ	-	-	
									მასალა: ბეტონი		კუბ.მ	-	-	
									ზედმეტი გრუნტის გატანა		კუბ.მ	-	-	
									ასფალტის (მოჭრა + დაგება)		კუბ.მ	-	-	

არაქსელური საინვესტიციო პროექტების ხარჯთაღრიცხვა

N	წელი	აქტივის დასახელება	მახასიათებელი	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
1	2	3	4	5	6	7

P.2..						
ჯამი						
შეადგინა: (თანამდებობა-სახელი გვარი)						

დანართი №6

ერთიანი ინფორმაცია განხორციელებული საინვესტიციო პროექტის შესახებ

პროექტის ნომერი	პროექტის დასახელება	მდებარეობა (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი)	ურთიერთდაკავშ. პროექტის დასახელება	კატეგორია	მიზანი	ტექნიკური აღწერილობა	ინვესტიცია (ლარი)	დაფინანსების წყარო (ლარი)			მიმდინარე სტატუსი	ექსპლოატაციაში შესვლის დრო	ექსპლუატაციიდან გასული აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულება (ლარი)
								საკუთარი რესურსი	საკრედიტო რესურსი	მესამე მხარე			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
	პროექტები სრულად												
P.1	ქსელური საინვესტიციო პროექტები												
P.1.1													
P.1.2													
P.1...													
P.2	არაქსელური საინვესტიციო პროექტები												
P.2.1													
P.2.2													
P.2...													

ქსელური საინვესტიციო პროექტების ხარჯთაღრიცხვა (ფაქტობრივი)

№	წელი	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა	მასალა (ლ.)		ხელფასი (ლ.)		მანქ. მექანიზმები (ლ.)		სულ (ლარი)
					ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
2		ჯამი									
დარიცხვები		მასალების ტრანსპორტირება	%								
		ჯამი									
		ზედნადები ხარჯები	%								
		ჯამი									
		გეგმური დაგროვება	%								
		ჯამი									
		დღგ	%								
3		ჯამი									
შეადგინა: (თანამდებობა-სახელი გვარი)											

ბუნებრივი გაზის სექტორში ინვესტიციების შეფასების წესი

მუხლი 1. მიზანი და მოქმედების სფერო

1. ბუნებრივი გაზის სექტორში ინვესტიციების შეფასების წესის (შემდგომში – წესი) მიზანია, განსაზღვროს სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოების საინვესტიციო გეგმებისა და მათი შემადგენელი საინვესტიციო პროექტების შემუშავების, წარდგენის, შეფასების, დამტკიცების, მონიტორინგისა და მათში ცვლილების შეტანის ძირითადი პრინციპები და კრიტერიუმები.
2. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება ბუნებრივი გაზის სექტორის იმ საინვესტიციო პროექტებზე, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ხორციელდება საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტის ან/და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილი ქონების (ინფრასტრუქტურის) პრივატიზება/შესყიდვის საფუძველზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ წესის მიზნებისთვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
 - ა) კომისია – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია;
 - ბ) კანონი - „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონი;
 - გ) საწარმო – ბუნებრივი გაზის გადაცემის და ბუნებრივი გაზის განაწილების სისტემის ოპერატორები;
 - დ) საინვესტიციო პროექტი – საწარმოს მიერ ახალი მატერიალური ან/და არამატერიალური აქტივების შექმნის, შეძენის ან არსებული აქტივების ჩანაცვლების/კაპიტალური რემონტის განხორციელებისთვის აუცილებელ ღონისძიებათა ერთობლიობა, ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში, რომელიც იყოფა ქსელურ და არაქსელურ საინვესტიციო პროექტებად;
 - ე) ქსელური საინვესტიციო პროექტები - ამ წესების მე-4 მუხლის „ა“ – „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული კატეგორიის საინვესტიციო პროექტები;
 - ვ) არაქსელური საინვესტიციო პროექტები - ამ წესების მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კატეგორიის საინვესტიციო პროექტები;
 - თ) საინვესტიციო გეგმა – საინვესტიციო პროექტების ერთობლიობა;
 - ზ) კაპიტალური რემონტი – სარემონტო სამუშაო, რომელიც ემსახურება არსებული აქტივის აღდგენას, ექსპლუატაციის ვადის გაზრდას ან/და ტექნიკური მახასიათებლების შეცვლა-გაუმჯობესებას, აქტივის რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის ან/და მოდერნიზაციის გზით;
 - თ) რეაბილიტაცია – არსებული აქტივის ან/და მისი ნაწილ(ებ)ის აღდგენა საწყის სპეციფიკაციამდე ან/და ექსპლუატაციის ვადის გაზრდა დაზიანებული/გაცვეთილი დეტალების შეკეთების ან/და შეცვლის გზით;
 - ი) რეკონსტრუქცია – არსებული აქტივის ან/და მისი ნაწილ(ებ)ის არსობრივად შეცვლა, მათი ფიზიკური, ხარისხობრივი და თვისებრივი განახლების მიზნით;
 - კ) მოდერნიზაცია – არსებული აქტივის ან/და მისი ნაწილ(ებ)ის ფუნქციონალური გაუმჯობესება ტექნიკური სიახლის ინტეგრირების გზით;

ლ) დისკონტირების ფინანსური განაკვეთი – საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გამოიყენება საინვესტიციო პროექტების მომავალი წმინდა ფინანსური ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების დასადგენად;

მ) დისკონტირების სოციალური განაკვეთი – საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გამოიყენება იმ საინვესტიციო პროექტების მომავალი წმინდა ეკონომიკური ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების დასადგენად, რომლებიც ეკონომიკურ და სოციალურ სარგებელს ქმნიან;

ნ) დისკონტირება – მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა დისკონტირების განაკვეთის მეშვეობით;

ო) ფინანსური წმინდა მიმდინარე ღირებულება (FNPV) – საინვესტიციო პროექტის წმინდა ფინანსური სარგებლის (სარგებელს გამოკლებული ხარჯები) დისკონტირებული წლიური სიდიდეების ჯამი;

პ) ეკონომიკური წმინდა მიმდინარე ღირებულება (ENPV) – ალტერნატიული ღირებულების გამოყენებით, ფულად გამოსახულებაში საინვესტიციო პროექტის ხარჯებისა და სარგებლის რაოდენობრივი შეფასების საფუძველზე, პროექტის წმინდა სარგებლის დისკონტირების სოციალური განაკვეთით დისკონტირებული წლიური სიდიდეების ჯამი;

ჟ) ფორსმაჟორი – ნებისმიერი გაუთვალისწინებელი სიტუაცია ან ქმედება, რომელიც არ ექვემდებარება ამ წესებით განსაზღვრული პირების გავლენასა და კონტროლს და რომლის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნებოდა ამ პირების მიერ უკიდურესად ფრთხილი ზომების გატარებისა და მაქსიმალური გულმოდგინების გამოჩენის შემთხვევაშიც კი და რომელიც ხელს უშლის ამ პირებს მათი მოვალეობების შესრულებაში. სავარაუდო ფორსმაჟორული მოვლენებია: სტიქიური უბედურებები, გაფიცვები, ომი, აჯანყება, არეულობები, მეწყერი, ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, აფეთქებები ან უბედური შემთხვევები გადაცემისა ან გამანაწილებელი სისტემების შემადგენელ ნებისმიერ მოწყობილობაში ან სხვა ობიექტებში რომელიც აუცილებელია შესაბამისი მომსახურების გაწევისათვის, ან ქმედების განხორციელებისათვის და რომელთა ხარისხი და მასშტაბი შეუძლებელს ხდის შესაბამისი მომსახურების გაწევას ან ქმედების განხორციელებას;

რ) ურთიერთდაკავშირებული საინვესტიციო პროექტები – საწარმოს მიერ კომისიაში წარმოდგენილი საინვესტიციო პროექტის განხორციელებაზე დამოკიდებული ან/და მისი განხორციელებისთვის აუცილებელი (შემავესებელი) საინვესტიციო პროექტები.

2. წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც კანონში.

მუხლი 3. საინვესტიციო პროექტის შეფასების ზოგადი წესი

1. კომისია წარმოდგენილი საინვესტიციო პროექტების მიზანშეწონილობასა და გონივრულობას აფასებს აუცილებლობისა და ეფექტიანობის კრიტერიუმების გათვალისწინებით.

2. საინვესტიციო პროექტის აუცილებლად მიჩნევისთვის, შესაბამისმა საწარმომ უნდა დაასაბუთოს მისი განხორციელების საჭიროება ენერგეტიკული სისტემების უსაფრთხო, საიმედო და ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის.

3. საინვესტიციო პროექტის ეფექტიანად მიჩნევისთვის, შესაბამისმა საწარმომ უნდა დაასაბუთოს, რომ საინვესტიციო პროექტი დაგეგმილია დანახარჯების გონივრულობის პრინციპის საფუძველზე და მისი რაოდენობრივი სარგებელი აღემატება ტარიფებში გასათვალისწინებელ ამ პროექტის მთლიან ხარჯს.

მუხლი 4. საინვესტიციო პროექტების კლასიფიკაცია

საინვესტიციო პროექტები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- ა) კატეგორია I. ქსელის საიმედოობასთან/მდგრადობასთან და ეფექტიან ოპერირებასთან დაკავშირებული საინვესტიციო პროექტები – ქსელის რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია, მოდერნიზაცია ან/და არსებული, დაზიანებული ან მოძველებული აქტივის ჩანაცვლება;
- ბ) კატეგორია II. მიწოდების უსაფრთხოებასა და დივერსიფიკაციასთან დაკავშირებული საინვესტიციო პროექტები – მიწოდების უსაფრთხოებისა და დივერსიფიკაციის მიზნებისთვის, ბუნებრივი გაზის გადამცემი და გამანაწილებელი ქსელის ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობაში განხორციელებული ინვესტიციები;
- გ) კატეგორია III. სისტემის განვითარებასა და გაფართოებასთან დაკავშირებული საინვესტიციო პროექტები – გაზრდილი/საპროგნოზო მოთხოვნის საპასუხოდ ბუნებრივი გაზის გადამცემი და გამანაწილებელი ქსელის ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობაში განხორციელებული ინვესტიციები;
- დ) კატეგორია IV. სხვა ტიპის საინვესტიციო პროექტები – გარემოსდაცვითი, განახლებადი ენერგიის ინტეგრაციასთან ან/და ენერგოეფექტიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული პროექტები.
- ე) კატეგორია V. არაქსელური საინვესტიციო პროექტები – საინვესტიციო პროექტები, რომლებიც არ ხდება I – IV კატეგორიით გათვალისწინებულ ქსელურ საინვესტიციო პროექტებში, მაგალითად, არამატერიალურ, საოფისე ინვენტარში, სატრანსპორტო საშუალებებში, ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებში, საკომუნიკაციო საშუალებებში, კომპიუტერულ ტექნიკასა და სხვადასხვა სპეციალურ მოწყობილობებში განსახორციელებელ ინვესტიციებთან დაკავშირებული პროექტები.

მუხლი 5. საინვესტიციო გეგმის წარდგენის პროცედურები

1. საინვესტიციო გეგმას შეიმუშავებს და კომისიაში შესატანხმებლად წარადგენს საწარმო. საინვესტიციო გეგმა უნდა შემუშავდეს ისე, რომ უზრუნველყოს საწარმოს საქმიანობის მაქსიმალური ეფექტიანობით განხორციელება, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით.
2. გადამცემი სისტემის ოპერატორი საინვესტიციო გეგმას კომისიას წარუდგენს ყოველი ტარიფის გაანგარიშების წლის არაუგვიანეს პირველი ივნისისა.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო გეგმა ამ წესით გათვალისწინებულ საკითხებთან ერთად უნდა მოიცავდეს კანონის 53-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ საინვესტიციო გეგმის წარდგენის წინა წელს დამტკიცებული გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ეხება მომდევნო სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის გათვალისწინებულ საინვესტიციო პროექტებს.
4. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ საინვესტიციო გეგმის კომისიაში წარდგენა ხდება ყოველწლიურად, არაუგვიანეს პირველი ივნისისა.
5. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო გეგმა უნდა მოიცავდეს ქსელურ საინვესტიციო პროექტებს კანონის 75-ე მუხლის შესაბამისად.
6. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო გეგმა, რომელიც კომისიას წარედგინება ტარიფის გაანგარიშების წელს, ამ მუხლის

მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებთან ერთად ასევე უნდა მოიცავდეს არაქსელურ საინვესტიციო პროექტებს.

7. კომისია საწარმოების მიერ წარმოდგენილ საინვესტიციო გეგმებს განიხილავს მისი მიღებიდან 90 კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში კომისია

ა) ითანხმებს წარმოდგენილ საინვესტიციო გეგმას ან

ბ) წერილობით აცნობებს შესაბამის საწარმოს შენიშვნების თაობაზე, იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო გეგმა არ არის წარმოდგენილი კომისიის მიერ განსაზღვრული ფორმის შესაბამისად ან წარმოდგენილია არასრულად.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინებით კომისია საწარმოს განუსაზღვრავს არაუმეტეს 45 კალენდარული დღის ვადას ხარვეზის/ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში საწარმოს მიერ წარმოდგენილ ხელახალ საინვესტიციო გეგმას კომისია განიხილავს არაუმეტეს 45 კალენდარული დღის ვადაში და იღებს გადაწყვეტილებას მისი შეთანხმების ან შეთანხმებაზე უარის თქმის შესახებ.

10. კომისიისთვის წარდგენილ საინვესტიციო გეგმაში საწარმომ უნდა წარადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ერთიანი ინფორმაცია ყველა დაგეგმილი საინვესტიციო პროექტის შესახებ, ამ წესის დანართი №4-ით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად;

ბ) თითოეული ქსელური საინვესტიციო პროექტისთვის, ამ წესის დანართი №5-ის შესაბამისად მომზადებული საპროგნოზო ხარჯთაღრიცხვა;

გ) არაქსელური საინვესტიციო პროექტებისთვის, ამ წესის დანართი №6-ის შესაბამისად მომზადებული საპროგნოზო ხარჯთაღრიცხვა;

დ) ურთიერთდაკავშირებული საინვესტიციო პროექტების შესახებ ინფორმაცია (მიმდინარე სტატუსი და განხორციელების გრაფიკი);

ე) პირველი კატეგორიის თითოეული საინვესტიციო პროექტისთვის, ავარიების სტატისტიკა, დეფექტური აქტები და გაზომვის ოქმები ან/და ინფორმაცია ჩატარებული რემონტების შესახებ.

11. ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, საწარმომ კომისიას უნდა წარუდგინოს ამ წესების დანართ №1-ში მოცემულ შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებული დოკუმენტები და ინფორმაცია.

12. კომისია უფლებამოსილია საწარმოს დამატებით მოსთხოვოს საინვესტიციო პროექტის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის წარდგენა.

13. კომისია უფლებამოსილია საწარმოს მოსთხოვოს საინვესტიციო პროექტის განხორციელების ალტერნატიული სცენარ(ებ)ის წარდგენა.

მუხლი 6. საინვესტიციო გეგმაში ცვლილების შეტანის პროცედურები

1. საწარმო უფლებამოსილია, მიმართოს კომისიას შეთანხმებულ საინვესტიციო გეგმაში ცვლილების შეტანის მოთხოვნით, თუ შეთანხმებული საინვესტიციო გეგმის ღირებულების ცვლილება 10%-ზე ნაკლებია.

2. შეთანხმებული საინვესტიციო გეგმის ღირებულების არანაკლებ 10%-ით ცვლილების შემთხვევაში, საწარმო ვალდებულია მიმართოს კომისიას საინვესტიციო გეგმაში ცვლილების შეტანის მოთხოვნით.

3. საინვესტიციო გეგმაში ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული ცვლილება შეიძლება განხორციელდეს საწარმოს მხრიდან მისი საჭიროების დასაბუთების შემთხვევაში.
4. საინვესტიციო გეგმაში ცვლილების შეტანის მოთხოვნის განხილვა ხორციელდება ამ წესის მე-8 მუხლით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.
5. კომისია შეისწავლის საინვესტიციო გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე მოთხოვნას და მიიღებს გადაწყვეტილებას მოთხოვნის შეთანხმების, ნაწილობრივი შეთანხმების ან შეთანხმებაზე უარის თქმის შესახებ.
6. კომისია, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტში აღნიშნული შემთხვევისა, სატარიფო რეგულირების მიზნებისათვის, უფლებამოსილია, არ გაითვალისწინოს ან ნაწილობრივ გაითვალისწინოს წინასწარი შეთანხმების გარეშე განხორციელებული ინვესტიციები რეგულირებადი აქტივების ბაზაში.
7. წინასწარი შეთანხმების გარეშე განხორციელებული საინვესტიციო პროექტ(ებ)ი რეგულირებადი აქტივების ბაზაში, დანახარჯების გონივრულობის პრინციპის შესაბამისად, შესაძლებელია, მთლიანად იქნეს გათვალისწინებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საინვესტიციო პროექტ(ებ)ი განხორციელდა ფორსმაჟორული გარემოებით განადგურებული/დაზიანებული აქტივის აღდგენის მიზნით და, ამავდროულად, შესაბამისი შემთხვევის აღმოფხვრიდან 15 დღის ვადაში საწარმომ წერილობით აცნობა კომისიას ფორსმაჟორული გარემოების შედეგად კონკრეტული ქონების განადგურების/დაზიანების თაობაზე.

მუხლი 7. ტექნიკური მიზანშეწონილობის კრიტერიუმები

1. ბუნებრივი გაზის სექტორში საინვესტიციო პროექტის ტექნიკური მიზანშეწონილობის კრიტერიუმები მოიცავს:
 - ა) ბუნებრივი გაზის მიწოდების წყვეტების მაჩვენებლებს;
 - ბ) მიუწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობის მაჩვენებელს;
 - გ) ბუნებრივი გაზის დანაკარგების მაჩვენებელს;
 - დ) ბუნებრივი გაზის ხარისხის (წნევის) მაჩვენებლებს;
 - ე) ენერგიის განახლებადი წყაროების გამანაწილებელ ქსელში ინტეგრაციას.

მუხლი 8. საინვესტიციო პროექტების შეფასება

1. ამ წესის მე-4 მუხლის „ა“ – „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული I-IV კატეგორიების საინვესტიციო პროექტების შეფასება ხდება ამ წესის დანართი №1-ით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
2. დანართი №1-ით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით საინვესტიციო პროექტების შეთანხმების მიზნებისთვის, კომისია:
 - ა) ამოწმებს საწარმოს მიერ შეფასებულ, ამ წესის მე-7 მუხლით განსაზღვრულ ტექნიკური მიზანშეწონილობის კრიტერიუმებს. საინვესტიციო გეგმაში მოსახვედრად, საინვესტიციო პროექტ(ებ)ის განხორციელების შედეგად, უნდა უმჯობესდებოდეს ტექნიკური მიზანშეწონილობის არანაკლებ ერთი კრიტერიუმი;
 - ბ) შეისწავლის ფინანსური ანალიზის შედეგებს. საინვესტიციო გეგმაში მოსახვედრად, საინვესტიციო პროექტის ფინანსური წმინდა მიმდინარე ღირებულება (გამოითვლება დანართი

№2-ში მოცემული ფინანსური ანალიზის მეთოდოლოგიის მიხედვით) უნდა აღემატებოდეს ნულს;

გ) შეისწავლის ეკონომიკური ანალიზის შედეგებს. საინვესტიციო გეგმაში მოსახვედრად, საინვესტიციო პროექტის ეკონომიკური წმინდა მიმდინარე ღირებულება (ბუნებრივი გაზის გადამამუშავების ქსელში განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების შემთხვევაში გამოითვლება დანართი №3-ში მოცემული ეკონომიკური ანალიზის მეთოდოლოგიის მიხედვით) უნდა აღემატებოდეს ნულს;

დ) აფასებს დანართი №5-ის მიხედვით მომზადებულ ინფორმაციას ინდივიდუალური საინვესტიციო პროექტის საპროგნოზო ხარჯების შესახებ. კომისია, ინდივიდუალური საინვესტიციო პროექტისთვის, შედარებითი ანალიზის (ბენჩმარკინგის), სამშენებლო ნორმებსა და წესებში მოცემულ ერთეულზე ნორმატიული ხარჯის, საბაზრო ფასებისა და საექსპერტო დასკვნების გამოყენებით, აფასებს ხარჯების გონივრულობასა და ეფექტიანობას;

ე) ამოწმებს სატარიფო რეგულირების პერიოდის პირველ წელს განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტებისთვის საჭირო ნებართვებს (მშენებლობის ნებართვა, ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობა) ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ვ) აფასებს საინვესტიციო პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური წყაროების ხელმისაწვდომობასა და გონივრულობას. შეფასების მიზნებისთვის საწარმომ უნდა დაასაბუთოს მის განკარგულებაში არსებული ან/და მოზიდული ფინანსური რესურსის შესაბამისობა საინვესტიციო პროექტის განსახორციელებლად საჭირო ფინანსურ რესურსებთან. კომისია არ შეითანხმებს საინვესტიციო პროექტს, რომლის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობას ან/და გონივრულობას საწარმო ვერ დაასაბუთებს;

ზ) აფასებს საინვესტიციო პროექტების ინდივიდუალურ და თითოეული კატეგორიის ყველა პროექტის ჯამურ გავლენას საწარმოს ტარიფზე. კომისია აფასებს, რამდენად მნიშვნელოვანია ტარიფზე გავლენა და უფლებამოსილია, საწარმოს მოსთხოვოს საინვესტიციო პროექტების დროში გაწერა და პრიორიტეტულობის განსაზღვრა;

თ) აფასებს საწარმოს მიერ მომზადებული საინვესტიციო პროექტის განხორციელების ალტერნატიულ სცენარ(ებ)ს.

3. საინვესტიციო გეგმაში შემავალი არაქსელური ტიპის ინვესტიციების შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, დანართი №6-ში მოცემული საპროგნოზო ხარჯების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, დანახარჯების მიზანშეწონილობისა და გონივრულობის პრინციპების გათვალისწინებით.

4. იმ სისტემის ოპერატორის საინვესტიციო პროექტები, რომელიც ემსახურება ქსელთან მიერთებულ 10 000-ზე ნაკლებ მომხმარებელს, შეფასდება მხოლოდ დაგეგმილი საინვესტიციო პროექტის შესახებ დანართი №4-ით და საპროგნოზო ხარჯების შესახებ დანართი №5-ით და დანართი №6-ით წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, დანახარჯების მიზანშეწონილობისა და გონივრულობის პრინციპების გათვალისწინებით.

მუხლი 9. საინვესტიციო გეგმის განხორციელების კონტროლი

1. საწარმომ ყოველწლიურად 1 ივნისამდე, კომისიას უნდა წარუდგინოს ანგარიში გასული წლის განმავლობაში საინვესტიციო გეგმის ფაქტობრივი განხორციელების შესახებ.

2. საწარმომ 5 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების საინვესტიციო პროექტების განხორციელების თაობაზე ინფორმაცია კომისიას უნდა წარუდგინოს მთლიანი საინვესტიციო პროექტის

დამთავრებისა და შესაბამისი ქონების/ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციაში მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

3. საწარმომ, კვარტლის დაწყებამდე კომისიაში უნდა წარმოადგინოს შეთანხმებული საინვესტიციო გეგმიდან იმ პროექტების სრული საპროექტო დოკუმენტაცია, რომელთა სამშენებლო სამუშაოების დაწყება დაგეგმილია აღნიშნულ კვარტალში.

4. საწარმო ვალდებულია, კომისიაში წარადგინოს საინვესტიციო პროექტების ფაქტობრივი განხორციელების შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

ა) ერთიანი ინფორმაცია ყველა განხორციელებული საინვესტიციო პროექტის შესახებ, ამ წესის დანართი №7-ით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად;

ბ) საინვესტიციო პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი და მათზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი (ქსელური საინვესტიციო პროექტებისთვის – დანართი №8-ით და დანართი №9-ით განსაზღვრული ფორმით, ხოლო, არაქსელური საინვესტიციო პროექტებისთვის – დანართი №6-ით განსაზღვრული ფორმით);

გ) საინვესტიციო პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი ან/და ექსპლოატაციაში მიღების აქტი;

დ) განხორციელებული საინვესტიციო პროექტის ფოტომასალა.

5. საწარმო ახორციელებს თითოეული საინვესტიციო პროექტის დაგეგმილი და ფაქტობრივი ხარჯებისა და სამუშაოების (მათ შორის, ვადების) შედარებას და, განსხვავებების შემთხვევაში, ვალდებულია, საინვესტიციო გეგმის ფაქტობრივი განხორციელების შესახებ ანგარიშში წარადგინოს შესაბამისი დასაბუთება.

6. კომისია შეისწავლის საწარმოს მიერ წარდგენილ წინა სატარიფო რეგულირების პერიოდის საინვესტიციო გეგმის ფაქტობრივი განხორციელების შესახებ ანგარიშს და მიიღებს გადაწყვეტილებას ფაქტობრივ და დაგეგმილ ინვესტიციებს შორის სხვაობის მომდევნო სატარიფო რეგულირების პერიოდის ტარიფში გათვალისწინების ან გაუთვალისწინებლობის შესახებ.

ბუნებრივი გაზის სექტორში ინვესტიციების შეფასების კრიტერიუმები

	გადაცემა	განაწილება
კატეგორია I. ქსელის საიმედოობასთან/მდგრადობასთან და ეფექტიან ოპერირებასთან დაკავშირებული პროექტები	• ტექნიკური მიზანშეწონილობის კრიტერიუმები, თუ პროექტის ღირებულება < 5 მლნ ლარი¹ • ეკონომიკური ანალიზი, თუ პროექტის ღირებულება > 5 მლნ ლარი² • ხარჯების გონივრულობა და ეფექტიანობა • პირველი წლის საინვესტიციო პროექტების საჭირო ნებართვები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) • საწარმოს მიერ ფინანსურ წყაროებზე ხელმისაწვდომობის დასაბუთება • გავლენა ტარიფზე, თუ პროექტის ღირებულება > 5 მლნ ლარი³	• ტექნიკური მიზანშეწონილობის კრიტერიუმები, თუ პროექტის ღირებულება < 1 მლნ ლარი¹ • ეკონომიკური ანალიზი, თუ პროექტის ღირებულება > 1 მლნ ლარი² • ხარჯების გონივრულობა და ეფექტიანობა • პირველი წლის საინვესტიციო პროექტების საჭირო ნებართვები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) • საწარმოს მიერ ფინანსურ წყაროებზე ხელმისაწვდომობის დასაბუთება • გავლენა ტარიფზე, თუ პროექტის ღირებულება > 1 მლნ ლარი³
კატეგორია II. მიწოდების უსაფრთხოებასა და დივერსიფიკაციასთან დაკავშირებული პროექტები	• ფინანსური ანალიზი⁴ • ეკონომიკური ანალიზი, თუ $NPV < 0$² • პროექტის განხორციელების სულ ცოტა ერთი ალტერნატიული სცენარი, თუ პროექტის ღირებულება > 5 მლნ ლარი • ხარჯების გონივრულობა და ეფექტიანობა • პირველი წლის საინვესტიციო პროექტების საჭირო ნებართვები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) • საწარმოს მიერ ფინანსურ წყაროებზე ხელმისაწვდომობის დასაბუთება • გავლენა ტარიფზე, თუ პროექტის ღირებულება > 5 მლნ ლარი³	• ფინანსური ანალიზი⁴ • ეკონომიკური ანალიზი, თუ $NPV < 0$² • ხარჯების გონივრულობა და ეფექტიანობა • პირველი წლის საინვესტიციო პროექტების საჭირო ნებართვები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) • საწარმოს მიერ ფინანსურ წყაროებზე ხელმისაწვდომობის დასაბუთება • გავლენა ტარიფზე, თუ პროექტის ღირებულება > 1 მლნ ლარი³
კატეგორია III. სისტემის განვითარებასა და გაფართოებასთან დაკავშირებული პროექტები	• ფინანსური ანალიზი⁴ • პროექტის განხორციელების სულ ცოტა ერთი ალტერნატიული სცენარი, თუ პროექტის ღირებულება > 5 მლნ ლარი • ხარჯების გონივრულობა და ეფექტიანობა • პირველი წლის საინვესტიციო პროექტების საჭირო ნებართვები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) • საწარმოს მიერ ფინანსურ წყაროებზე ხელმისაწვდომობის დასაბუთება • გავლენა ტარიფზე, თუ პროექტის ღირებულება > 5 მლნ ლარი³	• ფინანსური ანალიზი⁴ • ხარჯების გონივრულობა და ეფექტიანობა • პირველი წლის საინვესტიციო პროექტების საჭირო ნებართვები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) • საწარმოს მიერ ფინანსურ წყაროებზე ხელმისაწვდომობის დასაბუთება • გავლენა ტარიფზე³
კატეგორია IV. სხვა ტიპის საინვესტიციო პროექტები.	• ტექნიკური მიზანშეწონილობის კრიტერიუმები, თუ პროექტის ღირებულება < 5 მლნ ლარი¹	• ტექნიკური მიზანშეწონილობის კრიტერიუმები, თუ პროექტის ღირებულება < 1 მლნ ლარი¹

	● ეკონომიკური ანალიზი, თუ პროექტის ღირებულება > 5 მლნ ლარი^{2,5} ● პროექტის განხორციელების ალტერნატიული სცენარ(ებ)ი, თუ პროექტის ღირებულება > 5 მლნ ლარი ● ხარჯების გონივრულობა და ეფექტიანობა ● პირველი წლის საინვესტიციო პროექტების საჭირო ნებართვები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ● საწარმოს მიერ ფინანსურ წყაროებზე ხელმისაწვდომობის დასაბუთება ● გავლენა ტარიფზე, თუ პროექტის ღირებულება > 5 მლნ ლარი³	● ეკონომიკური ანალიზი, თუ პროექტის ღირებულება > 1 მლნ ლარი^{2,5} ● ხარჯების გონივრულობა და ეფექტიანობა ● პირველი წლის საინვესტიციო პროექტების საჭირო ნებართვები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ● საწარმოს მიერ ფინანსურ წყაროებზე ხელმისაწვდომობის დასაბუთება ● გავლენა ტარიფზე, თუ პროექტის ღირებულება > 1 მლნ ლარი³
--	--	--

შენიშვნა:

¹ ტექნიკური მიზანშეწონილობის კრიტერიუმები მზადდება ჯამურად 5 მლნ ლარზე ნაკლები ღირებულების საინვესტიციო პროექტებისთვის.

² საინვესტიციო პროექტი მისაღებია, თუ $ENPV > 0$.

³ მოცემული კატეგორიის ყველა საინვესტიციო პროექტის განხორციელების ჯამური გავლენა ტარიფზე ასევე იქნება შეფასებული (ტარიფზე გავლენა ფასდება კომისიის მიერ).

⁴ საინვესტიციო პროექტი მისაღებია, თუ $FNPV > 0$. საინვესტიციო პროექტები, რომელთათვის $FNPV < 0$, მაგრამ ინვესტიცია უზრუნველყოფილია მესამე მხარის დაფინანსებით, იქნება მიღებული.

⁵ კომისია ატყობინებს მთავრობას საინვესტიციო პროექტის ტარიფზე გავლენის შესახებ იმ შემთხვევაში თუ $ENPV < 0$.

ფინანსური ანალიზის მეთოდოლოგია

$$FNPV = \sum_{i=1}^n \frac{CF_i}{(1+r)^i} - I$$

სადაც:

I - საინვესტიციო პროექტის ღირებულება;

r - საწარმოს კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC);

n - საინვესტიციო პროექტით შექმნილი აქტივის სარგებლობის პერიოდი¹;

CF_i - საინვესტიციო პროექტის განხორციელების შედეგად i წლის ბოლოს მიღებული წმინდა შემოსავალი. პერიოდების მიხედვით ფულადი ნაკადების გამოთვლა ხდება შემდეგი ფორმულით:

$$CF_i = C_m \cdot T_d \cdot 12 - E_y$$

სადაც:

C_m - საინვესტიციო პროექტის განხორციელების შედეგად გაზრდილი საშუალო ყოველთვიური მოხმარება;

T_d - სისტემის ოპერატორის არსებული ტარიფი;

E_y - საინვესტიციო პროექტის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი წლიური საოპერაციო ხარჯი, პროექტის საპროცენტო ხარჯის ჩათვლით.

შენიშვნა:

¹ იგულისხმება, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ნული.

ბუნებრივი გაზის გადაცემის ქსელში განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური ანალიზის მეთოდოლოგია

პროექტის ეკონომიკური წმინდა მიმდინარე ღირებულება (ENPV) განისაზღვრება, პროექტის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიკური სარგებლისა და ეკონომიკური დანახარჯის სხვაობის დისკონტირებით.

$$ENPV = \sum_{t=0}^n \frac{S_t}{(1+c)^t} = \frac{S_0}{(1+c)^0} + \frac{S_1}{(1+c)^1} + \dots + \frac{S_n}{(1+c)^n} \quad (1)$$

სადაც:

S_t - წმინდა ეკონომიკური სარგებელი (ეკონომიკურ სარგებელს მინუს ეკონომიკური დანახარჯი) t პერიოდში;

c - სოციალური დისკონტირების განაკვეთი, რომელიც განისაზღვრება 5%-ის დონეზე;

n - აქტივის ექსპლუატაციის ვადა, რომელიც თითოეული პროექტისათვის ინდივიდუალურად განისაზღვრება.

მოდელში ნულოვან პერიოდში საწყისი ინვესტიციის ღირებულება გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ნიშნით.

მოდელში ყველა იმ მაჩვენებლისათვის, რომლის მონეტიზაციაშიც პირდაპირ მონაწილეობს მოხმარებული ბუნებრივი გაზის ოდენობა, გამოიყენება ბუნებრივი გაზის მოხმარების მოსალოდნელი წლიური ზრდის პროცენტული მაჩვენებელი.

ეკონომიკური სარგებლები

ეკონომიკური სარგებელი 1: თუ კონკრეტული საინვესტიციო პროექტი ამცირებს მოსალოდნელი წყვეტების რაოდენობას, ასეთ შემთხვევაში, ამ საინვესტიციო პროექტის განხორციელება ზრდის მიწოდების უსაფრთხოებას და ამცირებს პოტენციურ დანაკარგს, რასაც მთლიანი ეკონომიკა მიიღებდა გაზის მიწოდების წყვეტის შემთხვევაში (VOLL-Value of Lost Load). ენერგიის მიწოდების წყვეტის დანახარჯი გაიზომება შემდეგი ფორმულით:

$$\text{Disruption Cost} = \text{VOLL} * \text{Expected Amount of Nondelivered Gas} \quad (2)$$

Disruption Cost - ენერგიის მიწოდების წყვეტის დანახარჯი

VOLL - 1 მ³ მიუწოდებელი გაზის ეკონომიკური ღირებულება, რომელიც უტოლდება 725 ლარს მგვტ/საათზე ანუ 8 ლარს 1 მ³ გაზზე.

Expected Amount of nondelivered gas - მიუწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა, რომელიც გამოითვლება გადამცემი ქსელის კონკრეტულ მონაკვეთზე წლიური მიუწოდებელი ბუნებრივი გაზის მონაცემის გამოყენებით; ასეთის არარსებობის შემთხვევაში კი - გადამცემი ქსელის კონკრეტულ მონაკვეთზე წყვეტის ხანგრძლივობის წლიური მაჩვენებლის გამრავლებით ბოლო 5 წლის მანძილზე განაწილების ლიცენზიანტისა და პირდაპირი მოხმარებლისათვის 1 საათის მანძილზე საშუალოდ მიუწოდებელი გაზის მოცულობაზე, რაც შეადგენს 661 მ³ -ს.

ეკონომიკური სარგებელი 2: თუ კონკრეტული საინვესტიციო პროექტი ამცირებს მოსალოდნელი ბუნებრივი გაზის დანაკარგებს, მისი განხორციელება შეამცირებს გარემოზე ბუნებრივი გაზის გაფრქვევით მიყენებულ ზიანს. გარდა ამისა, დაიზოგება ბუნებრივი გაზის შესაძენად გადასახდელი თანხა. შესაბამისად, ეს ორივე ფაქტორი განიხილება, როგორც მთლიანი ეკონომიკის სარგებელი და გამოისახება ფორმულით:

$$\text{Benefit From Avoided Gas Losses} = (\text{Gas Losses in M}^3) * (\text{Gas Purchase Price} + \text{Social Cost of Methane}) \quad (3)$$

Benefit From Avoided Gas Losses - ბუნებრივი გაზის დანაკარგზე დაზოგილი თანხა

Gas Losses in M³ - დაკარგული ბუნებრივი გაზის მოცულობა მ³-ში კონკრეტული საინვესტიციო პროექტისათვის

Gas Purchase Price - პროექტის განხორციელების დროს ბუნებრივი გაზის შესასყიდი საბაზრო ფასი ეროვნულ ვალუტაში

Social Cost of Methane - ბუნებრივი გაზის გარემოში გაფრქვევით მიყენებული ზარალი, რაც შეადგენს 1.44 აშშ დოლარს 1 კგ მეთანზე. კონვერტაციის კურსად გამოყენებული იქნება საინვესტიციო გეგმის კომისიაში წარდგენის მომენტამდე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ბოლო 12 კალენდარული თვის ნომინალური გაცვლითი კურსის საშუალო.

ეკონომიკური სარგებელი 3: თუ კონკრეტული საინვესტიციო პროექტი ამცირებს მომხმარებლის დანახარჯებს სხვა ენერგიის წყაროებზე, რაც განპირობებულია ალტერნატიული ენერგიის წყაროების (შეშა, ნავთი და სხვა) ბუნებრივი გაზით ჩანაცვლებით, ის განიხილება, როგორც ეკონომიკური სარგებელი. დაკავშირებული საინვესტიციო პროექტებისთვის აღნიშნული ეკონომიკური სარგებელი გარდა გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ პროექტზე გაწეული დანახარჯისა, გავრცელდება ასევე განაწილების საწარმოს მიერ დაგეგმილ საინვესტიციო პროექტზე გაწეულ დანახარჯზე.

დაკავშირებული საინვესტიციო პროექტებისთვის გადამცემი სისტემის ოპერატორი აფასებს გადაცემისა და განაწილების სისტემების ოპერატორების მიერ აღნიშნულ საინვესტიციო პროექტზე გაწეული დანახარჯების პროცენტულ განაწილებას. ეკონომიკური წმინდა მიმდინარე ღირებულების დაანგარიშებისას (ფორმულა 1) გათვალისწინებული იქნება გადაცემის სისტემის ოპერატორის მიერ დაკავშირებულ საინვესტიციო პროექტზე გაწეული დანახარჯის პროცენტული წილის ნამრავლი მე-3 ეკონომიკურ სარგებელზე.

$$\text{Avoided Fuel Cost} = (\text{Price of Alternative Fuel} * \text{Consumption}_{AF}) - (\text{Price of Gas} * \text{Consumption}_{NG}) \quad (4)$$

Avoided Fuel Cost - საწვავზე დაზოგილი დანახარჯი

Price of Alternative Fuel - ალტერნატიული საწვავის ფასი

Price of Gas - ბუნებრივი გაზის ფასი

Consumption_{AF} - ალტერნატიული საწვავის მოხმარება.

Consumption_{NG} - ბუნებრივი გაზის მოხმარება.

ალტერნატიული საწვავის ფასი იქნება პროექტის განხორციელების პერიოდში არსებული საბაზრო ფასის ტოლი, ხოლო ალტერნატიული საწვავის რაოდენობად აღებული იქნება ოდენობა, რომელიც მოგვცემს საშუალო მომხმარებლის მიერ ბუნებრივი გაზის მოხმარების ექვივალენტ ენერგიას.

ეკონომიკური სარგებელი 4: თუ კონკრეტული საინვესტიციო პროექტი ამცირებს ალტერნატიული საწვავების გამოყენების შედეგად გარემოზე მიყენებულ ზიანს, უნდა განხორციელდეს შემცირებული ზიანის მონეტიზაცია და ასახვა მთლიან ეკონომიკურ სარგებელში.

დაკავშირებული საინვესტიციო პროექტებისთვის გადაცემის სისტემის ოპერატორი აფასებს გადაცემის და განაწილების სისტემების ოპერატორების მიერ აღნიშნულ საინვესტიციო პროექტზე გაწეული დანახარჯების პროცენტულ განაწილებას. ეკონომიკური წმინდა მიმდინარე ღირებულების დაანგარიშებისას (ფორმულა 1) გათვალისწინებული იქნება გადაცემის სისტემის ოპერატორის მიერ დაკავშირებულ საინვესტიციო პროექტზე გაწეული დანახარჯის პროცენტული წილის ნამრავლი მე-4 ეკონომიკურ სარგებელზე.

$$\text{Environmental Benefits} = \quad (5)$$

$$= (\text{Polluting Cost}_{alt.fuel} * \text{Consumption}_{AF}) - (\text{Polluting Cost}_{gas} * \text{Consumption}_{NG})$$

Environmental Benefits - გარემოს ეკონომიკური სარგებელი

Polluting Cost_{alt.fuel} - ალტერნატიული საწვავით გარემოს დაბინძურების ეკონომიკური ხარჯი

Polluting Cost_{gas} - ბუნებრივი გაზით გარემოს დაბინძურების ხარჯი

Consumption_{AF} - ალტერნატიული საწვავის მოხმარება

Consumption_{NG} - ბუნებრივი გაზის მოხმარება.

საინვესტიციო პროექტებისთვის, რომლებიც საჭიროებენ მესამე და მეოთხე ეკონომიკური სარგებლის შეფასებას, წარმოდგენილი უნდა იყოს საწვავის მთლიან მოხმარებაში ალტერნატიული საწვავის ბუნებრივი გაზით ჩანაცვლების პროპორციის შეფასება.

1 კგ CO₂-ს გარემოს დაბინძურების ეკონომიკური ხარჯი არის 0.005\$. აღნიშნული ღირებულების ეროვნულ ვალუტაში კონვერტაცია მოხდება პროექტის განხორციელების მომენტამდე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ბოლო 12 კალენდარული თვის ნომინალური გაცვლითი კურსის საშუალო მაჩვენებლით.

ეკონომიკური სარგებელი 5: თუ კონკრეტული საინვესტიციო პროექტი ითვალისწინებს არსებული ქსელის რემონტს, რასაც შედეგად მოჰყვება არსებულ ქსელზე საოპერაციო ხარჯების შემცირება და, შესაბამისად, შემცირდება საშუალოდ 1 მ³ გაზის მიწოდების ხარჯი, აღნიშნული განიხილება, როგორც ეკონომიკური სარგებელი:

$$\text{Gas Supply Reduction Cost} = (\text{Reduction in Transportation Cost of 1 M}^3) * \text{Consumption} \quad (6)$$

Gas Supply Reduction Cost - ბუნებრივი გაზის მიწოდების ხარჯი

Reduction in Transportation Cost of 1 M³ - 1 მ³ გაზის გადაცემის ხარჯის შემცირება

Consumption - მოხმარება.

ეკონომიკური დანახარჯები

ეკონომიკური დანახარჯი 1: თუ კონკრეტული საინვესტიციო პროექტის განხორციელებით გარემოს ადგება ზიანი, მაშინ უნდა მოხდეს ამ ზიანის მონეტიზაცია. მონეტიზაცია მოხდება არსებული მონაცემების ანალიზისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბოლო 8 წლის მონაცემების თანახმად საშუალოდ 2.8 მ³ ტყე იკაფებოდა 1 კმ მილსადენის გაყვანის დროს. 1 მ³ ტყის გაკაფვით ბუნებაზე მიყენებული ზარალი შეადგენს 245 ლარს.

$$\text{Environmental Cost From Building Gas Pipelines} = \quad (7)$$

$$= (\text{Environmental Cost Per KM}) * \text{Distance}$$

Environmental Cost From Building Gas Pipelines - გარემოს ეკონომიკური ხარჯი მილსადენების მშენებლობის გამო

Environmental Cost Per KM - გარემოს ეკონომიკური ხარჯი 1 კმ-ზე

ეკონომიკური დანახარჯი 2: თუ კონკრეტული საინვესტიციო პროექტი ითვალისწინებს ახალი ქსელის მშენებლობას ან არსებული ქსელის გაფართოებას და, შესაბამისად, მოითხოვს საოპერაციო ხარჯების ზრდას, დამატებითი საოპერაციო დანახარჯები განიხილება, როგორც ეკონომიკური ხარჯი.

პროექტის განხორციელების შედეგად თუ მოხდება საოპერაციო ხარჯების (ახალი თანამშრომლების აყვანა და ა.შ.) ზრდა ახალი ქსელის მშენებლობის ან არსებული ქსელის გაფართოებიდან გამომდინარე, ეს უნდა აისახოს, როგორც ეკონომიკური ხარჯი.

Annual Operational and Maintenance Cost Increase Per Year - ახალი ქსელის მშენებლობის ან არსებული ქსელის გაფართოების შედეგად წლიური საოპერაციო ხარჯების ნაზრდი (8)

შენიშვნა:

საინვესტიციო პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია აუცილებელი იყოს დამატებით სხვა დანახარჯ(ებ)ის შეფასებაც.

ერთიანი ინფორმაცია დაგეგმილი საინვესტიციო პროექტის შესახებ

პროექტის ნომერი	პროექტის დასახელება	მდებარეობა (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი)	ურთიერთდაკავშ. პროექტის დასახელება	კატეგორია	მიზანი	ტექნიკური აღწერილობა	ინვესტიცია (ლარი)	დაფინანსების წყარო (ლარი)			მიმდინარე სტატუსი	ექსპლოატაციაში შესვლის დრო	ექსპლუატაციიდან გასული აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულება (ლარი)	დასაბუთება
								საკუთარი რესურსი	საკრედიტო რესურსი	მესამე მხარე				
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
	პროექტები სრულად													
P.1	ქსელური საინვესტიციო პროექტები													
P.1.1														
P.1.2														
P.1...														
P.2	არაქსელური საინვესტიციო პროექტები													
P.2.1														
P.2.2														
P.2...														

ინფორმაცია ქსელური საინვესტიციო პროექტების სამუშაოების საპროგნოზო მოცულობებისა და ღირებულებების შესახებ

პროექტის ნომერი	პროექტის დასახელება	წელი	მშენებლობის სახეობა	წნევა	განლაგება	მასალა	დიამეტრი ----- გამტარ- უნარიანობა	სიგრძე ----- რაოდენობა	სამუშაოები	მახას.	განზ.	რაოდ.	ღირებ. დღგ-ს გარეშე	სულ ღირებულებ ა დღგ-ს გარეშე		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15		
P.1..			ხაზობრივი ნაგებობა						გაზსადენი							
									სახაზო ჩამკვეტი ონკანი							
									ბალასტი*							
									ასფალტი*							
			კვანძები / სადგურები								რეგულატორი					
											გაზის გამწმენდი მოწყობილობა					
											ონკანი					
											მრიცხველი					
											სხვა მზომი მოწყობილობები					
											საკომუნიკაციო საშუალებები					
											კარადა / ტერიტორიის მოწყობა					
შეადგინა: (თანამდებობა-სახელი გვარი)																

* ივსება იმ შემთხვევაში თუ პროექტისთვის გათვალისწინებულია დამატებითი ბალასტის შემოტანა ან ასფალტის სამუშაოები, საჭიროებს შესაბამის დასაბუთებას

არაქსელური საინვესტიციო პროექტების ხარჯთაღრიცხვა

N	წელი	აქტივის დასახელება	მახასიათებელი	რაოდენობა	ერთეულის (ლარი) ფასი	სულ (ლარი)
1	2	3	4	5	6	7
P.2..						
ჯამი						
შეადგინა: (თანამდებობა-სახელი გვარი)						

ერთიანი ინფორმაცია განხორციელებული საინვესტიციო პროექტის შესახებ

პროექტის ნომერი	პროექტის დასახელება	მდებარეობა (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი)	ურთიერთდაკავშ. პროექტის დასახელება	კატეგორია	მიზანი	ტექნიკური აღწერილობა	ინვესტიცია (ლარი)	დაფინანსების წყარო (ლარი)			მიმდინარე სტატუსი	ექსპლოატაციაში შესვლის დრო	ექსპლუატაციიდან გასული აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულება (ლარი)
								საკუთარი რესურსი	საკრედიტო რესურსი	მესამე მხარე			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
	პროექტები სრულად												
P.1	ქსელური საინვესტიციო პროექტები												
P.1.1													
P.1.2													
P.1...													
P.2	არაქსელური საინვესტიციო პროექტები												
P.2.1													
P.2.2													
P.2...													

ინფორმაცია ქსელური საინვესტიციო პროექტების სამუშაოების ფაქტობრივი მოცულობებისა და ღირებულებების შესახებ

პროექტის ნომერი	პროექტის დასახელება	წელი	აქტივი	წნევა	განლაგება	მასალა	დიამეტრი ----- გამტარუნარ.	სიგრძე ----- რაოდენობა	სამუშაოები	მახას.	განზ.	რაოდენობა	ღირებ. დღგ-ს გარეშე	მთლიანი ღირებულება დღგ-ს გარეშე	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	
P.1..			ხაზობრივი ნაგებობა						მილი						
									სახაზო ჩამკეტი ონკანი						
			კვანძები / სადგურები							რეგულატორი					
										გაზის გამწმენდი მოწყობილობა					
										ონკანი					
										მრიცხველი					
										სხვა მზომი მოწყობილობები					
										საკომუნიკაციო საშუალებები					
										კარადა / ტერიტორიის მოწყობა					
შეადგინა: (თანამდებობა-სახელი გვარი)															

ქსელური საინვესტიციო პროექტების ხარჯთაღრიცხვა (ფაქტობრივი)

№	წელი	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა	მასალა (ლ.)		ხელფასი (ლ.)		მანქ. მექანიზმები (ლ.)		სულ (ლარი)
					ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
2	ჯამი										
დარიცხვები	მასალების ტრანსპორტირება		%								
	ჯამი										
	ზედნადები ხარჯები		%								
	ჯამი										
	გეგმური დაგროვება		%								
	ჯამი										
	დღგ		%								
3	ჯამი										
შეადგინა: (თანამდებობა-სახელი გვარი)											

წყალმომარაგების სექტორში ინვესტიციების შეფასების წესი

მუხლი 1. წესის მიზანი

1. ინვესტიციების შეფასების წესი (შემდგომში – წესი) ადგენს წყალმომარაგების ლიცენზიატების მიერ საინვესტიციო გეგმებისა და მათი შემადგენელი საინვესტიციო პროექტების შემუშავების, წარდგენის, შეფასების, შეთანხმების, მონიტორინგისა და მათში ცვლილებების შეტანის ძირითად პრინციპებსა და კრიტერიუმებს.

2. ამ წესის მოქმედება ვრცელდება წყალმომარაგების ლიცენზიატებზე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №53 - ვებგვერდი, 30.10.2020 წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ წესის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1. **კომისია** – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

2. **ლიცენზიის მფლობელი (ლიცენზიატი)** – პირი, რომელსაც საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მინიჭებული აქვს წყალმომარაგების სექტორში წყალმომარაგების ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლება.

3. **გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმა** – გასატარებელ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს საკვანძო მაჩვენებლების არსებული მდგომარეობიდან სამიზნე მაჩვენებლებამდე მიღწევას და მისი განხორციელების ვადა აღემატება 3 წელს.

4. **მოკლევადიანი საინვესტიციო გეგმა** – საინვესტიციო პროექტების ერთობლიობა, რომლის განხორციელების ვადა არ აღემატება 3-წლიან პერიოდს და უზრუნველყოფს გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმით დასახული მიზნების შესრულებას ან/და რომლის განხორციელებაც აუცილებელია საწარმოს გამართული ფუნქციონირებისათვის.

5. **საინვესტიციო პროექტი** – ახალი მატერიალური ან/და არამატერიალური აქტივების შექმნის ან არსებული აქტივების ჩანაცვლების/კაპიტალური რემონტის განხორციელებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლისთვისაც წინასწარ შედგენილია გეგმა-გრაფიკი, რომელიც უზრუნველყოფს საინვესტიციო გეგმით დასახული მიზნების შესრულებას.

6. **ბაზრის კვლევები** – საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით განსაზღვრული, შესაბამისი კომპეტენციით აღჭურვილი სახელმწიფო სტრუქტურების, მშენებელთა ასოციაციების, პროფესიული კავშირების ან/და მათ მიერ გამოცემული/ადიარებული მეთოდოლოგიის შესაბამისად სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები, რომლებიც ასახავენ ბაზრის მონაცემებს შესაბამისი პერიოდისათვის და ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ამასთანავე, კვლევის შედეგად მიღებული თითოეული მონაცემი უნდა ეფუძნებოდეს მიკვლევად, ფიქსირებული მონაცემების ანალიზს, რაც, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს კვლევის ნებისმიერი შედეგის გადამოწმების შესაძლებლობას.

7. **ფასწარმოქმნის ადეკვატურობის შესახებ დასკვნა** – შესაბამისი საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული დადებითი ან უარყოფითი დასკვნა, რომელშიც ერთმნიშვნელოვნად არის დადასტურებული ან უარყოფილი შესაბამისი ლიცენზიანტის მიერ წარდგენილი და, საჭიროების შემთხვევაში, დაკორექტირებული ხარჯთაღრიცხვის საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებთან შესაბამისობა.

8. **ნორმატიული დანახარჯები** – საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების შესაბამისად, კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად საჭირო რესურსები.

9. **საკვანძო მაჩვენებლები** – რიცხვი, რის მიხედვითაც ფასდება ლიცენზიატის ცალკეული აქტივობები წყალმომარაგების საქმიანობის განხორციელებისას.

10. **სასმელი წყალზე ხელმისაწვდომობის ინდექსი** – პროცენტული დამოკიდებულება საყოფაცხოვრებო მომხმარებლების მიერ მოხმარებული სასმელი წყლის საფასურსა და მათ განკარგვად შემოსავალს შორის.

მუხლი 3. გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმის წარდგენის პროცედურები

1. ყოველწლიურად, არაუგვიანეს 1 ივნისისა, ლიცენზიანტი კომისიას წარუდგენს გრძელვადიანი განვითარების გეგმის პროექტს ამ წესის დანართი №1-ის, დანართი №2-ისა და დანართი №9-ის შესაბამისად.

1¹. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება არ ვრცელდება იმ ლიცენზიატებზე, რომელთა გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმა უკვე შეთანხმებული აქვს კომისიას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჭიროა შეთანხმებული გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმის ცვლილება. ასეთ შემთხვევაში, ლიცენზიატმა კომისიას უნდა წარუდგინოს გრძელვადიანი საინვესტიციო პროექტი ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სათანადო დასაბუთებასთან ერთად.

2. კომისია განიხილავს და ამტკიცებს ლიცენზიატის მიერ წარმოდგენილ გრძელვადიან საინვესტიციო გეგმის პროექტს ინდივიდუალურად თითოეული ლიცენზიატისთვის, არაუგვიანეს მათი წარმოდგენის წლის 31 დეკემბრისა. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმის პროექტი არ შეესაბამება კომისიის მიერ განსაზღვრულ ფორმას ან წარმოდგენილია არასრულად, ლიცენზიატს ეცნობება შენიშვნების თაობაზე და შესაბამისი ცვლილებების განხორციელებისთვის განესაზღვრება გონივრული ვადა, მაგრამ არანაკლებ 10 სამუშაო დღისა.

3. (ამოღებულია - 22.10.20, №53).

4. (ამოღებულია - 22.10.20, №53).

5. გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმა უნდა მოიცავდეს ამ წესების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საკვანძო მაჩვენებლების არსებული დონიდან სამიზნე ნიშნულამდე მიღწევისთვის საჭირო:

ა) გასატარებელი ღონისძიებების პრიორიტეტულობის დონეს, დანართი №2-ის შესაბამისად;

ბ) ფინანსური სახსრების ოდენობას, ღონისძიებების მოკლე აღწერილობას, სამუშაოების ვადებს, მოცულობებსა და ინფორმაციას მოსალოდნელი ეფექტების შესახებ, დანართი №1-ის შესაბამისად.

6. დროისა და თანხის განსაზღვრისას ლიცენზიანტი ვალდებულია იხელმძღვანელოს უახლოეს წარსულში შესრულებული მსგავსი ტიპის იმ პროექტებით, რომლებიც შეთანხმებული აქვს კომისიას ფაქტობრივი და საპროგნოზო ინფლაციის გათვალისწინებით.

7. ისეთ შემთხვევებში, როდესაც არ არსებობს წარსულში შესრულებული მსგავსი ტიპის სამუშაოები, კომისია უფლებამოსილია, ლიცენზიანტის მიერ წარმოდგენილი საინვესტიციო პროექტები შეადაროს სხვა ლიცენზიანტის მიერ წარმოდგენილ, იმავე ტიპის საინვესტიციო პროექტებს.

7¹. კომისია უფლებამოსილია არ დაამტკიცოს ლიცენზიატის მიერ წარმოდგენილი გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმა, თუ:

ა) გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმა არ არის წარმოდგენილი ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ფორმით;

ბ) გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმა არ ემსახურება ამ წესების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საკვანძო მაჩვენებლების არსებული დონიდან სამიზნე ნიშნულამდე მიღწევას;

გ) ლიცენზიატმა დროულად ან/და სრულყოფილად არ აღმოფხვრა კომისიის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე წარდგენილი შენიშვნები.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №53 - ვებგვერდი, 30.10.2020 წ.

მუხლი 4. საკვანძო მაჩვენებელი და მისი გაანგარიშების წესი

1. კომისია ყოველწლიურად, არაუგვიანეს 1 აპრილისა, თითოეული ლიცენზიატისთვის გადაწყვეტილებით ამტკიცებს საკვანძო მაჩვენებლების ქვედა ზღვარს, არსებულ დონეს, სამიზნე ნიშნულსა და ამ მაჩვენებელთა ცდომილების საშუალო ოდენობას. იმ ლიცენზიატებისთვის, რომლებიც ფლობენ რამდენიმე დამოუკიდებელ წყალმომარაგების სისტემას, მაჩვენებლები და მათი ცდომილების ოდენობა მტკიცდება დამოუკიდებელი სისტემებისთვის ინდივიდუალურად.

2. საკვანძო მაჩვენებლების ინდექსები:

ა) მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხის ინდექსი (DWPC);

- ბ) სასმელი წყლით მომარაგების დაფარვის არეალის განსაზღვრის ინდექსი (DWCA);
 გ) სასმელი წყლის გრაფიკით მიწოდების ინდექსი (CS);
 დ) წყალარინების მომსახურების დაფარვის არეალის განსაზღვრის ინდექსი (WWCA);
 ე) წყალარინების სისტემის მეშვეობით წყალსატევებში ჩაშვებული სითხის ხარისხის ინდექსი (WWPQ);
 ვ) სახანძრო ჰიდრანტებით მოცვის ინდექსი (FH);
 ზ) სასმელი წყლის მილსადენებზე ავარიების ინდექსი (DWPB);
 თ) წყალარინების მილსადენებზე ავარიების ინდექსი (WWPB);
 ი) სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის ჟონვის ინდექსი (ILI);
 კ) მომსახურე პერსონალის პროდუქტიულობის ინდექსი (SPI);
 ლ) სასმელი წყლის განაწილების მილსადენების მოქნილობის ინდექსი (WPFI).
3. მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხის ინდექსი (DWPQ), იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$DWPQ = (1 - (DWPCT/DWACT)) * 100\% \quad (1),$$

სადაც:

- DWPQ** - მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხის ინდექსი (%).
DWPCT - სასმელი წყლის იმ სინჯების რაოდენობა, რომელმაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში ვერ დააკმაყოფილა სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები.
DWACT - ლიცენზიატის მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში აღებული სასმელი წყლის სინჯების რაოდენობა.

4. სასმელი წყლით მომარაგების დაფარვის არეალის განსაზღვრის ინდექსი (DWCA), იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$DWCA = (DWC/POP) * 100\% \quad (2),$$

სადაც:

- DWCA** - სასმელი წყლის მომსახურების დაფარვის არეალი (%);
DWC - უკანასკნელი მონაცემები სასმელი წყლის საყოფაცხოვრებო მომხმარებელთა რაოდენობის (სულადობის) შესახებ.
POP - შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრებელთა რაოდენობა სულადობის მიხედვით.

5. სასმელი წყლის გრაფიკით მიწოდების ინდექსი (CS) იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$CS = \sum_{i=1}^n (HCZi * hzi) / THC \quad (3)$$

სადაც:

- CS** - სასმელი წყლის მიწოდების საშუალო გრაფიკი (სთ).
- i** - წყალმომარაგების სისტემაში არსებული ზონების / უბნების რაოდენობა.
- HCZi** - ცალკეულ ზონაში / უბანში საყოფაცხოვრებო მომხმარებელთა რაოდენობა.
- hzi** - ცალკეულ ზონაში / უბანში არსებული სასმელი წყლის მიწოდების გრაფიკი (სთ).
- THC** - საყოფაცხოვრებო მომხმარებელთა ჯამური რაოდენობა.“;

6. წყალარინების მომსახურების დაფარვის არეალის განსაზღვრის ინდექსი (WWCA) იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$WWCA = (WWC/POP) * 100\% \quad (4),$$

სადაც:

- WWCA** - წყალარინების მომსახურების დაფარვის არეალი (%);
- WWC** - ბოლო მონაცემები წყალარინების მომსახურებით მოსარგებლე პირთა რაოდენობის (სულადობის) შესახებ.
- POP** - შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრებელთა რაოდენობა სულადობის მიხედვით.

7. წყალარინების სისტემის მეშვეობით წყალსატევებში ჩაშვებული სითხის ხარისხის ინდექსი (WWPQ) იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$WWPQ = (1 - (WWPCT/WWACT)) * 100\% \quad (5),$$

სადაც:

- WWPQ** - წყალარინების სისტემის მეშვეობით ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვებული სითხის ხარისხი (%);
- WWPCT** - ზედაპირული წყლის ობიექტებში წყალარინების სისტემების მეშვეობით ჩაშვებული წყლების იმ სინჯების რაოდენობა, რომელმაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში ვერ დააკმაყოფილა ჩამდინარე წყლების ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები.
- WWACT** - ლიცენზიის მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებზე აღებული სინჯების რაოდენობა.

8. სახანძრო ჰიდრანტებით მოცვის ინდექსი (FH), იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$FH = ExFH/NFH * 100\% \quad (6),$$

სადაც:

- FH** - სახანძრო ჰიდრანტებით მოცვის ინდექსი.
- ExFH** - სახანძრო ჰიდრანტების ჯამური რაოდენობა არსებული მდგომარეობით.

NFH - სახანძრო ჰიდრანტების ჯამური საჭირო რაოდენობა, საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისად.

9. სასმელი წყლის მილსადენებზე ავარიების ინდექსი (DWPB) იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$DWPB = (NBDW/DWPL) * 100 \quad (7),$$

სადაც:

DWPB - სასმელი წყლის მილსადენებზე ავარიების ინდექსი;

NBDW - ბოლო ერთი წლის განმავლობაში სასმელი წყლის მილსადენებზე მომხდარ ავარიათა რიცხვი;

DWPL - სასმელი წყლის მილსადენების სიგრძე(კმ).

10. წყალარინების მილსადენებზე ავარიების ინდექსი (WWPB) იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$WWPB = (NBWW/WWPL) * 100 \quad (8),$$

სადაც:

WWPB - წყალარინების მილსადენებზე ავარიების ინდექსი;

WWNB - ბოლო ერთი წლის განმავლობაში წყალარინების ქსელზე მომხდარ ავარიათა რიცხვი;

WWPL - წყალარინების ქსელის სიგრძე(კმ).

11. სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის ჟონვის ინდექსი (ILI) იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$ILI = (FPW - BAC - UAC) / Uarl \quad (9),$$

სადაც:

ILI	-	სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის ჟონვის ინდექსი;
FPW	-	ლიცენზიატის მიერ ფაქტობრივად მოპოვებული წყლის მოცულობა შესაბამისი წლისათვის, რომელიც იანგარიშება ლიცენზიატის მიერ კომისიაში წარმოდგენილი ერთიანი ანგარიშგების ფორმების საფუძველზე (მ³);
BAC	-	სასმელი წყლის კანონმდებლობით დადგენილი წესით მოხმარება, რომელზეც ხორციელდება „წყალმომარაგების ტარიფების შესახებ“ კომისიის 2010 წლის 17 აგვისტოს №17 დადგენილებით განსაზღვრული ტარიფებით მოხმარებული სასმელი წყლის საფასურის დარიცხვა და იანგარიშება „სასმელი წყლის ნორმატიული დანაკარგების გაანგარიშების წესის“ დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2017 წლის 26 დეკემბრის №45 დადგენილებით დამტკიცებული „სასმელი წყლის ნორმატიული დანაკარგების გაანგარიშების წესის“ შესაბამისად (მ³);
UAC	-	სასმელი წყლის კანონმდებლობით დადგენილი წესით მოხმარება, რომელზეც არ ხორციელდება „წყალმომარაგების ტარიფების შესახებ“ კომისიის 2010 წლის 17 აგვისტოს №17 დადგენილებით განსაზღვრული ტარიფებით მოხმარებული სასმელი წყლის საფასურის დარიცხვა და იანგარიშება „სასმელი წყლის ნორმატიული დანაკარგების გაანგარიშების წესის“ დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2017 წლის 26 დეკემბრის №45 დადგენილებით დამტკიცებული „სასმელი წყლის ნორმატიული დანაკარგების გაანგარიშების წესის“ შესაბამისად (მ³);
Uarl	-	სასმელი წყლის გარდაუვალი დანაკარგი სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემიდან, რომელიც იანგარიშება ამ მუხლის 11 ¹ პუნქტის შესაბამისად (მ³);
i	-	შესაბამისი წლის რიგითი ნომერი (1≤i≤n).

11¹. სასმელი წყლის გარდაუვალი დანაკარგი სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემიდან (Uarl), იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$Uarl = (18 * Lm + 0.8 * Nc + 25 * Lp) * P * T / 1000 \quad (9^1),$$

სადაც:

Uarl	-	დანახარჯი სასმელი წყლის განაწილების მილსადენებიდან შესაბამისი წლისათვის (მ³);
Lm	-	განაწილების მილსადენების სიგრძე შესაბამისი წლისათვის (კმ);
Nc	-	განშტოვების რაოდენობა სასმელი წყლის განაწილების მილსადენებზე შესაბამისი წლისათვის;
Lp	-	განშტოვების მილსადენების ჯამური სიგრძე შესაბამისი წლისათვის (კმ);
P	-	განაწილების მილსადენებში არსებული საშუალო დაწნევა შესაბამისი წლისათვის (ბარი);
T	-	შესაბამისი წლის რიგითი ნომერი ($1 \leq i \leq n$).

12. მომსახურე პერსონალის პროდუქტიულობის ინდექსი (SPI) იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$SPI = \frac{NS}{NC} * 1000 \quad (10),$$

სადაც:

- SPI** - მომსახურე პერსონალის პროდუქტიულობის ინდექსი;
- NS** - თანამშრომელთა ჯამური რაოდენობა;
- NC** - სასმელი წყლისა და წყალარინების ქსელებზე არსებული განშტოვების რაოდენობა.

13. სასმელი წყლის განაწილების ქსელის მოქნილობის ინდექსი (WPFI) იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$WPFI = \sum_{i=1}^n (NAC) / NI \quad (11)$$

სადაც:

- WPFI** - სასმელი წყლის განაწილების ქსელის მოქნილობის ინდექსი;
- NAC** - სასმელი წყლის წვეტისას გათიშული მომხმარებლების რაოდენობა;
- NI** - სასმელი წყლის წვეტების ჯამური რაოდენობა, რომელიც იანგარიშება ლიცენზიატის მიერ კომისიაში ელექტრონული ჟურნალით წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.

14. საკვანძო მაჩვენებლების ინდექსების გაანგარიშებისას კომისია ხელმძღვანელობს ერთიანი ანგარიშების ფორმებითა და ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით წარმოდგენილი ინფორმაციით.

14¹. კომისია, ამ წესის №8 დანართის („საკვანძო მაჩვენებლების ცდომილების გაანგარიშების პრინციპი“) მიხედვით, გაიანგარიშებს ცდომილების საშუალო ოდენობას ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“, „ზ“, „თ“, „ი“ და „ლ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საკვანძო მაჩვენებლების ინდექსებისთვის.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №53 - ვებგვერდი, 30.10.2020 წ.

მუხლი 5. მოკლევადიანი საინვესტიციო გეგმები

1. ყოველწლიურად, არაუგვიანეს 1 ივნისისა, ლიცენზიანტი კომისიას წარუდგენს მოკლევადიანი განვითარების გეგმის პროექტს ამ წესის დანართი №2, დანართი №3, დანართი №7-ისა და დანართი №9-ის შესაბამისად.

2. კომისია განიხილავს და ამტკიცებს ლიცენზიატის მიერ წარმოდგენილ მოკლევადიანი საინვესტიციო გეგმის პროექტს ინდივიდუალურად თითოეული ლიცენზიატისთვის, არაუგვიანეს მათი წარმოდგენის წლის 31 დეკემბრისა. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი მოკლევადიანი საინვესტიციო გეგმის პროექტი არ შეესაბამება კომისიის მიერ განსაზღვრულ ფორმას ან წარმოდგენილია არასრულად, ლიცენზიატს ეცნობება შენიშვნების თაობაზე და შესაბამისი ცვლილებების განხორციელებისთვის განესაზღვრება გონივრული ვადა, მაგრამ არანაკლებ 10 სამუშაო დღისა.

3. (ამოღებულია - 22.10.20, №53).

4. (ამოღებულია - 22.10.20, №53).

5. მოკლევადიანი საინვესტიციო გეგმა უნდა ემსახურებოდეს კომისიასთან შეთანხმებული საკვანძო მაჩვენებლების არსებული დონის ან/და ამ მაჩვენებლების ცდომილების საშუალო ოდენობების გაუმჯობესებას.

6. კომისია არ დაამტკიცებს მოკლევადიანი საინვესტიციო გეგმის იმ ნაწილს, რომელიც არ ემსახურება ძირითადი საკვანძო მაჩვენებლების არსებული დონის ან/და ამ მაჩვენებლების ცდომილების საშუალო ოდენობების გაუმჯობესებას, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7. კომისია უფლებამოსილია დაამტკიცოს მოკლევადიანი საინვესტიციო გეგმის ის ნაწილი, რომელიც არ ემსახურება ძირითადი საკვანძო მაჩვენებლების არსებული დონის ან/და ამ მაჩვენებლების ცდომილების საშუალო ოდენობების გაუმჯობესებას, თუმცა მათი განხორციელება აუცილებელია საწარმოს გამართული ფუნქციონირებისთვის ან/და დაკავშირებულია დანახარჯების ოპტიმიზებასთან.

7¹. კომისია უფლებამოსილია არ დაამტკიცოს მოკლევადიანი საინვესტიციო გეგმა, თუ ლიცენზიატმა დროულად ან/და სრულყოფილად არ აღმოფხვრა კომისიის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე წარდგენილი შენიშვნები.

8. კომისია უფლებამოსილია, უარი თქვას იმ საინვესტიციო პროექტების შეთანხმებაზე, რომელთა განხორციელებაც იწვევს სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობის ინდექსის დასაშვებზე მეტად ზრდას.

9. სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობის ინდექსის დასაშვები დონე (პროცენტული მაჩვენებელი) განისაზღვრება კომისიის მიერ საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული პრინციპების შესაბამისად.

10. ლიცენზიატი უფლებამოსილია, ამ წესებით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, კომისიას ასევე წარმოუდგინოს მოკლევადიან საინვესტიციო გეგმასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია.

11. კომისია უფლებამოსილია, ლიცენზიატს მოსთხოვოს საინვესტიციო გეგმასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის წარდგენა.

12. მოკლევადიანი საინვესტიციო გეგმების შედგენისას დროისა და თანხის განსაზღვრისას ლიცენზიანტი ვალდებულია, იხელმძღვანელოს ამ წესების მე-3 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად.

13. ლიცენზიატი ვალდებულია, ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „ი“ პუნქტებით გათვალისწინებული საკვანძო მაჩვენებლების გაუმჯობესებისთვის საჭირო საინვესტიციო გეგმებზე წარმოადგინოს არანაკლებ ერთი ალტერნატიული სცენარი.

14. კომისია უფლებამოსილია ლიცენზიატის მიერ ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „დ“, „ზ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საკვანძო მაჩვენებლების ინდექსების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საინვესტიციო პროექტების საფუძველზე მოახდინოს შესაბამისი დანახარჯებისა და სარეალიზაციო წყლის მოცულობების პროგნოზირება.

15. კომისია უფლებამოსილია ლიცენზიატის ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საკვანძო მაჩვენებლების ინდექსების გაუმჯობესებასთან ერთად, მოახდინოს სარეალიზაციო სასმელი წყლისა და წყალარინების მოცულობების პროგნოზირება გაზრდილი მომხმარებლების რაოდენობისა და მოცემული კატეგორიის მომხმარებლების საშუალო მოხმარების შესაბამისად.

16. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მაჩვენებლების გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ პროექტებზე ლიცენზიანტი ვალდებულია, კომისიაში წარმოადგინოს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს პოზიცია მოკლევადიანი საინვესტიციო გეგმის შესაბამისი ნაწილ(ებ)ის განხორციელებასთან დაკავშირებით. ამასთან, ლიცენზიანტი ვალდებულია, კომისიაში წარმოადგინოს ინფორმაცია დაფარვის არეალის ზრდის შედეგად მომხმარებელთა რაოდენობის ცვლილების თაობაზე მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით.

17. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მაჩვენებლის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ პროექტებზე ლიცენზიანტი ვალდებულია კომისიაში

წარმოადგინოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს პოზიცია მოკლევადიანი საინვესტიციო გეგმის შესაბამისი ნაწილ(ებ)ის განხორციელებასთან დაკავშირებით.

18. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მაჩვენებლის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ პროექტებზე ლიცენზიანტი ვალდებულია, კომისიაში წარმოადგინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის პოზიცია მოკლევადიანი საინვესტიციო გეგმის შესაბამისი ნაწილის განხორციელებასთან დაკავშირებით.

18¹. ლიცენზიანტის მიერ წარმოდგენილი მოკლევადიანი საინვესტიციო გეგმის განსახორციელებლად საჭირო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს და განსახორციელებელი პროექტები, ამ წესის დანართი №3-ის შესაბამისად, თითოეული წლისთვის წარმოდგენილ უნდა იქნეს ცალ-ცალკე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №53 - ვებგვერდი, 30.10.2020 წ.

მუხლი 6. მოკლევადიან საინვესტიციო გეგმაში ცვლილების შეტანის პროცედურები

1. ლიცენზიანტი ვალდებულია მიმართოს კომისიას შეთანხმებულ საინვესტიციო გეგმაში ცვლილების შეტანის მოთხოვნით ამ წესის შესაბამისად, თუ საწარმოს ცალკეული საკვანძო მაჩვენებლის შესრულებასთან დაკავშირებული საინვესტიციო პროექტის ღირებულების სავარაუდო ცვლილება აღემატება 10 პროცენტს.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, ლიცენზიანტი უფლებამოსილია, საინვესტიციო გეგმაში ცვლილების შეტანის მოთხოვნით მიმართოს კომისიას სხვა შემთხვევებშიც.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ცვლილება შეიძლება განხორციელდეს ლიცენზიანტის მხრიდან მისი საჭიროების დასაბუთების შემთხვევაში.

საინვესტიციო გეგმაში ცვლილების შეტანის მოთხოვნის განხილვა ხორციელდება ამ წესის მე-3 მუხლით დადგენილი პირობების შესაბამისად.

4. კომისია შეისწავლის საინვესტიციო გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე მოთხოვნას და მიიღებს გადაწყვეტილებას მოთხოვნაზე თანხმობის ან უარის შესახებ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №53 - ვებგვერდი, 30.10.2020 წ.

მუხლი 7. საინვესტიციო გეგმის განხორციელების კონტროლი

1. ლიცენზიანტი ვალდებულია, მოკლევადიანი საინვესტიციო გეგმის შეთანხმების შემდეგ, ყოველი კვარტალის დაწყებიდან არაუგვიანეს 45 კალენდარული დღისა, კომისიაში წარმოადგინოს ამ კვარტალში დასაწყები საინვესტიციო პროექტები ამ წესის დანართი №4-ის შესაბამისად, ხოლო, ყოველი კვარტალის დასრულებიდან არაუგვიანეს 45 კალენდარული დღისა წარმოადგინოს შესაბამის კვარტალში დასრულებული საინვესტიციო პროექტების ფაქტობრივი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამ წესის დანართი №5-ის შესაბამისად.

2. თითოეული საინვესტიციო პროექტის ტექსტობრივი და გრაფიკული ნაწილები მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მიხედვით, ხოლო, ფინანსური ნაწილი - ნორმატიული დანახარჯებისა და მოცემული პერიოდისათვის გამოცემული/აღიარებული ბაზრის კვლევების ფასების შესაბამისად.

3. ლიცენზიანტი ვალდებულია, კვარტალის დასრულებიდან, არაუგვიანეს 45 კალენდარული დღისა, კომისიაში წარმოადგინოს სახელმწიფოს მიერ აღიარებული დაწესებულების/პირის მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნა შესრულებული სამშენებლო სამუშაოების მოცულობებთან დაკავშირებით.

4. ლიცენზიანტი ახორციელებს თითოეული საინვესტიციო პროექტის დაგეგმილი და ფაქტობრივი ხარჯებისა და სამუშაოების (მათ შორის ვადების) შედარებას და სხვაობის შემთხვევაში, ვალდებულია დანართ N6-თან ერთად კომისიას წარმოუდგინოს შესაბამისი არგუმენტები სხვაობების გამომწვევი მიზეზების თაობაზე.

5. იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციით წარმოდგენილია ისეთი ტიპის სამუშაოები, რომლებსაც კონკრეტული პროექტი არ მოიცავდა დაგეგმვის ეტაპზე, ლიცენზიანტი ვალდებულია, შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტებში.

6. ლიცენზიანტი ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში კომისიას წარუდგინოს კონკრეტულ დასრულებულ პროექტზე ფასწარმოქმნის ადეკვატურობის შესახებ დადებითი საექსპერტო დასკვნა.

7. ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ჯამურ ღირებულებასა და შესატყვისი მოცულობების მქონე, საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მიხედვით მომზადებულ, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტით განსაზღვრულ ღირებულებებს შორის დადებითი სხვაობა არ გაითვალისწინება ტარიფში, თუ კომისია ამ სხვაობის თაობაზე ლიცენზიატის მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას არ მიიჩნევს სათანადოდ.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება იმ საინვესტიციო პროექტებზე, რომლებიც განხორციელებულია, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

9. თუ წარმოდგენილ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში არსებული მონაცემების სისწორეზე კომისიასა და ლიცენზიატს გააჩნიათ განსხვავებული პოზიციები, ლიცენზიანტი უფლებამოსილია თავისი ინიციატივით, ჩაატაროს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის შესახებ კვლევა და მოიპოვოს შესაბამისი დასკვნა. თუ ექსპერტის მიერ თავდაპირველ დოკუმენტზე გაიცემა უარყოფითი დასკვნა, მოცემულ შემთხვევაში, საექსპერტო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები არ გაითვალისწინება ტარიფში.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №53 - ვებგვერდი, 30.10.2020 წ.

მუხლი 8. გრძელვადიანი და მოკლევადიანი საინვესტიციო გეგმების გამჭვირვალობა, საჯაროობა და ანგარიშგება

1. ლიცენზიანტი ვალდებულია უზრუნველყოს კომისიის მიერ შეთანხმებული გრძელვადიანი და მოკლევადიანი საინვესტიციო გეგმების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობა და საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

2. ლიცენზიანტმა თავის ვებგვერდზე უნდა განათავსოს, სულ მცირე, შემდეგი ინფორმაცია:

ა) გრძელვადიანი განვითარების გეგმის ცხრილი (დანართი №1);

ბ) გასატარებელი ღონისძიებების პრიორიტეტულობის განსაზღვრის დიაგრამა (დანართი №2);

გ) მოკლევადიანი საინვესტიციო გეგმის ცხრილი (დანართი №3);

3. ლიცენზიანტი ვალდებულია ყოველი წლის ბოლოს, კომისიას წარუდგინოს მოკლევადიანი საინვესტიციო გეგმის შესრულების შესახებ ინფორმაცია.

წყალმომარაგების სექტორში ინვესტიციების შეფასების წესის დანართი №1 – გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმები							
№	სამუშაოების ჩაშლა	პრიორიტეტულობის დონე	განხორციელების ვადები		თანხა (ლარი)	მოსალოდნელი ეფექტი (წლიურად)*	
			დაწყება	დამთავრება		მოკლე აღწერა	თანხა (ლარი)
1	მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხის ინდექსი (DWPQ)						
1.1	გამწმენდი ნაგებობა						
1.2	საქლორატორო						
1.3	ლაბორატორია						
1.3.1	აკრედიტაცია						
1.3.2	გადაიარაღება						
1.4	სანიტარიული დაცვის ზონები						
1.5	სხვა						
2	მომსახურების დაფარვის არეალი, სასმელი წყალი (DWCA)						
2.1	სათავე ნაგებობა						
2.2	გამწმენდი ნაგებობა						
2.3	საქლორატორო						
2.4	რეზერვუარი						
2.5	სატუმბი სადგური						
2.6	გამანაწილებელი ქსელი						
2.7	მაგისტრალური ქსელი						
2.8	სხვა						
3	სასმელი წყლის მიწოდების საშუალო გრაფიკი (CS)						
3.1	დამატებითი სათავე ნაგებობის მოწყობა						

წყალმომარაგების სექტორში ინვესტიციების შეფასების წესის დანართი №1 – გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმები							
3.2	არსებული სათავე ნაგებობის წარმადობის გაზრდა						
3.3	ქსელის რეაბილიტაცია (გამანაწილებელი ქსელი)						
3.4	ქსელის რეაბილიტაცია (მაგისტრალური ქსელი)						
3.5	წნევის რეგულირება						
3.6	ზონირება						
3.7	საბალანსო მრიცხველები						
3.8	გამრიცხველიანება						
3.9	სხვა						
4	მომსახურების დაფარვის არეალი, წყალარინება (WWCA)						
4.1	გამწმენდი ნაგებობა						
4.2	სატუმბო სადგური						
4.3	წყალარინების ქსელი						
4.4	სხვა						
5	წყალარინების სისტემის მეშვეობით წყალსატევებში ჩაშვებული სითხის ხარისხი (WWPQ)						
5.1	გამწმენდი ნაგებობა						
5.2	ლაბორატორია						
5.2.1	აკრედიტაცია						
5.2.2	გადაიარაღება						
5.3	სანიტარიული დაცვის ზონები						
5.4	სხვა						
6	სახანძრო ჰიდრანტები (FH)						
6.1	ახლის მოწყობა						
6.2	არსებულის რეაბილიტაცია						
6.3	სხვა						

წყალმომარაგების სექტორში ინვესტიციების შეფასების წესის დანართი №1 – გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმები							
7	სასმელი წყლის მილსადენებზე ავარიების ინდექსი (DWPB)						
7.1	ქსელის რეაბილიტაცია (გამანაწილებელი ქსელი)						
7.2	ქსელის რეაბილიტაცია (მაგისტრალური ქსელი)						
7.3	წნევების რეგულირება						
7.4	სხვა						
8	წყალარინების მილსადენებზე ავარიების ინდექსი (WWPB)						
8.1	ქსელის რეაბილიტაცია						
8.2	სხვა						
9	სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის ჟონვის ინდექსი (ILI)						
9.1	ქსელის რეაბილიტაცია (გამანაწილებელი ქსელი)						
9.2	ქსელის რეაბილიტაცია (მაგისტრალური ქსელი)						
9.3	წნევების რეგულირება						
9.4	ზონირება						
9.5	აქტიური ჟონვების იდენტიფიცირების სისტემის დანერგვა						
9.6	სხვა						
10	თანამშრომელთა პროდუქტიულობის ინდექსი (SPI)						
10.1	ავტომატიზებული სისტემების მოწყობა						
10.2	სხვა						
11	სასმელი წყლის განაწილების მილსადენების მოქნილობის ინდექსი (WPIFI)						
11.1	ჩამკვეთ-მარეგულირებელი ურდულების მოწყობა						
11.2	სხვა						

წყალმომარაგების სექტორში ინვესტიციების შეფასების წესის დანართი №1 – გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმები							
12	აუცილებელი საინვესტიციო პროექტი						
13	დანახარჯების ოპტიმიზებასთან დაკავშირებული პროექტი						
14	სხვა						
*	მხოლოდ საოპერაციო დანახარჯების ზრდა ან/და შემცირება						

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №53 - ვებგვერდი, 30.10.2020 წ.

39

წყალმომარაგების სექტორში ინვესტიციების შეფასების წესის დანართი N2 - გასატარებელი ღონისძიებების პრიორიტეტულობის დონის განსაზღვრის დიაგრამა												
არსებული მდგომარეობის შეფასების	დაბალი	5										
		4										
	მაღალი	3										
		2										
		1										
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
		მაღალი					დაბალი					
		პრიორიტეტულობის დონე										

39

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №53 - ვებგვერდი, 30.10.2020 წ.

წყალმომარაგების სექტორში ინვესტიციების შეფასების წესის დანართი №3 – მოკლევადიანი საინვესტიციო პროექტები						
№	სამუშაოს დასახელება	სამიზნე მაჩვენებელი*	პრიორიტე- ტულობის დონე	პროექტის კოდი	სამუშაოს ღირებულება (ლარი)	მოსალოდნელი ეფექტი (წლიურად)**

წყალმომარაგების სექტორში ინვესტიციების შეფასების წესის დანართი №3 – მოკლევადიანი საინვესტიციო პროექტები									
					წწ	წწ	წწ	მოკლე აღწერა	თანხა (ლარი)
1	მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხის ინდექსი (DWPQ)								
1.1	გამწმენდი ნაგებობა								
1.2	საქლორატორო								
1.3	ლაბორატორია								
1.3.1	აკრედიტაცია								
1.3.2	გადაიარაღება								
1.4	სანიტარიული დაცვის ზონები								
1.5	სხვა								
2	მომსახურების დაფარვის არეალი, სასმელი წყალი (DWCA)								
2.1	სათავე ნაგებობა								
2.2	გამწმენდი ნაგებობა								
2.3	საქლორატორო								
2.4	რეზერვუარი								
2.5	სატუმბო სადგური								
2.6	გამანაწილებელი ქსელი								
2.7	მაგისტრალური ქსელი								
2.8	სხვა								
3	სასმელი წყლის მიწოდების საშუალო გრაფიკი (CS)								
3.1	დამატებითი სათავე ნაგებობის მოწყობა								
3.2	არსებული სათავე ნაგებობის წარმადობის გაზრდა								
3.3	ქსელის რეაბილიტაცია (გამანაწილებელი ქსელი)								
3.4	ქსელის რეაბილიტაცია (მაგისტრალური ქსელი)								
3.5	წნევის რეგულირება								
3.6	ზონირება								
3.7	საბალანსო მრიცხველები								
3.8	გამრიცხველიანება								
3.9	სხვა								
4	მომსახურების დაფარვის არეალი, წყალარინება (WWCA)								
4.1	გამწმენდი ნაგებობა								
4.2	სატუმბო სადგური								
4.3	წყალარინების ქსელი								
4.4	სხვა								

წყალმომარაგების სექტორში ინვესტიციების შეფასების წესის დანართი №3 – მოკლევადიანი საინვესტიციო პროექტები									
5	წყალარინების სისტემის მეშვეობით წყალსატევებში ჩაშვებული სითხის ხარისხი (WWPQ)								
5.1	გამწმენდი ნაგებობა								
5.2	ლაბორატორია								
5.2.1	აკრედიტაცია								
5.2.2	გადაიარაღება								
5.3	სანიტარიული დაცვის ზონები								
5.4	სხვა								
6	სახანძრო ჰიდრანტები (FH)								
6.1	ახლის მოწყობა								
6.2	არსებულის რეაბილიტაცია								
6.3	სხვა								
7	სასმელი წყლის მილსადენებზე აგარიების ინდექსი (DWPB)								
7.1	ქსელის რეაბილიტაცია (გამანაწილებელი ქსელი)								
7.2	ქსელის რეაბილიტაცია (მაგისტრალური ქსელი)								
7.3	წნევების რეგულირება								
7.4	სხვა								
8	წყალარინების მილსადენებზე აგარიების ინდექსი (WWPB)								
8.1	ქსელის რეაბილიტაცია								
8.2	სხვა								
9	სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის ჟონვის ინდექსი (ILI)								
9.1	ქსელის რეაბილიტაცია (გამანაწილებელი ქსელი)								
9.2	ქსელის რეაბილიტაცია (მაგისტრალური ქსელი)								
9.3	წნევების რეგულირება								
9.4	ზონირება								
9.5	აქტიური ჟონვების იდენტიფიცირების სისტემის დანერგვა								
9.6	სხვა								
10	თანამშრომელთა პროდუქტიულობის ინდექსი								

წყალმომარაგების სექტორში ინვესტიციების შეფასების წესის დანართი №3 – მოკლევადიანი საინვესტიციო პროექტები									
	(SPI)								
10.1	ავტომატიზებული სისტემების მოწყობა								
10.2	სხვა								
11	სასმელი წყლის განაწილების მილსადენების მოქნილობის ინდექსი (WPII)								
11.1	ჩამკვეთ-მარეგულირებელი ურდულების მოწყობა								
11.2	სხვა								
12	აუცილებელი საინვესტიციო პროექტი								
13	დანახარჯების ოპტიმიზებასთან დაკავშირებული პროექტი								
14	სხვა								
*	მოკლევადიანი გეგმის განხორციელების შედეგად მისაღწევი შედეგი								
**	მხოლოდ საოპერაციო დანახარჯების ზრდა ან/და შემცირება								

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №53 - ვებგვერდი, 30.10.2020 წ.

წყალმომარაგების სექტორში ინვესტიციების შეფასების წესის დანართი №4 - ლოკალურ - რესურსული ხარჯთაღრიცხვა												
№	სამუშაოს დასახელება	შიფრი	განზ.	ნორმა ერ-ზე	რაოდენობა	მასალა (ლ.)		ხელფასი (ლ.)		მანქ. მექანიზმები (ლ.)		სულ (ლარი)
						ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1												
1.1												
1.2												
2	ჯამი											
დარიცხვები	მასალების ტრანსპორტირება	%										
	ჯამი											
	ზედნადები ხარჯები	%										
	ჯამი											
	გეგმიური დაგროვება	%										
	ჯამი											
	გაუთვალისწინებელი სამუშაოები	%										
	ჯამი											
	დღგ	%										
3	ჯამი											
ხარჯთაღრიცხვის შემდგენის სახელი და გვარი												

წყალმომარაგების სექტორში ინვესტიციების შეფასების წესის დანართი № 5 - შესრულებული სამუშაოების აქტი (ე.წ ფორმა №2)												
№	სამუშაოს დასახელება	შიფრი	განზ.	ნორმა ერთ-ზე	რაოდენობა	მასალა (ლ.)		ხელფასი (ლ.)		მანქ. მექანიზმები (ლ.)		სულ (ლარი)
						ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1												
1.1												
1.2												
2	ჯამი											
დარიცხვები	მასალები ს ტრანსპორტირება	%										
	ჯამი											
	ზედნაღები ხარჯები	%										
	ჯამი											
	გეგმიური დაგროვება	%										
	ჯამი											
	გაუთვალ ისწინებე	%										

	ლი სამუშაოებ ი			
	ჯამი			
	დღგ	%		
3	ჯამი			
დოკუმენტის შემდგენის სახელი და გვარი				

წყალმომარაგების სექტორში ინვესტიციების შეფასების წესის დანართი №6 - სამშენებლო სამუშაოების შედარების აქტი														
№	სამუშაოებისა და მასალების დასახელება	შიფრი	საპროექტო ხარჯთაღრიცხვით				ფორმა №2-ის მიხედვით				სამუშაოები რომელიც არ სრულდება		დამატებითი სამუშაოები	
			განზ.	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ ჯამი	განზ.	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ ჯამი	რაოდენობა	სულ ჯამი	რაოდენობა	სულ ჯამი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
1														
2														
3														

შენიშვნა:

1. ახალი დამატებითი სამუშაოს გაჩენის შემთხვევაში სამუშაო უნდა განფასდეს „სნ და წ“-ს მიხედვით და კალკულიაციის საფუძველზე შეტანილ იქნეს ფაქტობრივ და დამატებით სამუშაოების ნუსხაში.

შეასრულა:

(თანამდებლობა-სახელი, გვარი)

შეამოწმა:

(თანამდებლობა-სახელი, გვარი)

დანართი №7 – მოკლევადიანი საინვესტიციო გეგმის ტექსტობრივი აღწერილობა

შპს „წყალმომარაგების კომპანია“

მოკლევადიანი საინვესტიციო გეგმა
(რეგულირების პერიოდი 2021-2023წ. წ.)

თბილისი 2019 წ.

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებX
2. ზოგადი ინფორმაცია წყალმომარაგების სისტემების თაობაზეX
3. ზოგადი ინფორმაცია წყალარინების სისტემების თაობაზეX
4. ორგანიზაციული სტრუქტურა X
5. საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების ზოგადი მიმოხილვაX
6. საკვანძო მაჩვენებლების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული სამუშაოების ზოგადი მიმოხილვა X
7. საკვანძო მაჩვენებლების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული სამუშაოების პრიორიტეტულობა X
8. ალტერნატივების შეფასება X
9. აუცილებელი ან/და დანახარჯების ოპტიმიზებასთან დაკავშირებული პროექტების დასაბუთება X
10. ზოგადი ინფორმაცია დაფინანსების წყარო(ები)ს თაობაზეX
11. შეთანხმებები X
12. ხელმოწერების გვერდი X
- დანართები X

დანართი №8

საკვანძო მაჩვენებლების ცდომილების

განგარიშების პრინციპი

1. მონაცემთა სიზუსტისა და სანდოობის მატრიცა:

მონაცემთა საიმედოობა	განმარტება
A – მაღალსაიმედო	1. მონაცემები, რომლებზეც არსებობს ხმოვანი ჩანაწერები; 2. პროცედურები; 3. აუდიტორული დასკვნები, რომლებზეც არსებობს კონკრეტული დოკუმენტები; 4. საუკეთესო მეთოდით აღრიცხული მონაცემები (ელ. მრიცხველები, ფინანსური გადარიცხვები, გამოწერილი ქვითრები და ა.შ.).
B – საიმედო	მონაცემები, რომლებიც არის ისეთი, როგორიც A-შემთხვევაში, მაგრამ უფრო ნაკლებ, ზოგი დოკუმენტი დაკარგულია, შეფასებები ძველი გაკეთებულია, მონაცემები წარმოდგენილია დაუდასტურებელი რეპორტებით.
C – ნაკლებსაიმედო	მონაცემები, რომლებიც ეყრდნობა შეზღუდული რაოდენობის მონაცემებს A ან B კატეგორიის მონაცემებიდან, რომლებიც გარკვეული რაოდენობით ხელმისაწვდომია.
D – არასაიმედო	მონაცემები, რომლებიც ეყრდნობა დაუდასტურებელ სიტყვიერ მოხსენებებს ან ექსპლუატაციის გამოცდილების საფუძველზე გაკეთებულ შეფასებებსა და ანალიზს.
მონაცემთა სიზუსტე	განმარტება
1 – (%): (0-1)	მონაცემები, რომელთა ცდომილებაც არის 0-დან 1%-ის ფარგლებში;
2 – (%): (1-5)	მონაცემები, რომელთა ცდომილებაც არის 1-დან 5%-ის ფარგლებში;
3 – (%): (5-10)	მონაცემები, რომელთა ცდომილებაც არის 5-დან 10%-ის ფარგლებში;
4 – (%): (10-25)	მონაცემები, რომელთა ცდომილებაც არის 10-დან 25%-ის ფარგლებში;
5 – (%): (25-50)	მონაცემები, რომელთა ცდომილებაც არის 25-დან 50%-ის ფარგლებში;
6 – (%): (50-100)	მონაცემები, რომელთა ცდომილებაც არის 50-დან 100%-ის ფარგლებში;

მონაცემთა სიზუსტე	სანდოობის მაჩვენებელი			
	A	B	C	D
1 – (%): (0-1)	A1	++	++	++
2 – (%): (1-5)	A2	B2	C2	++
3 – (%): (5-10)	A3	B3	C3	D3
4 – (%): (10-25)	A4	B4	C4	D4
5 – (%): (25-50)	++	++	C5	D5
6 – (%): (50-100)	++	++	++	D6

2. მონაცემთა სიზუსტისა და სანდოობის გაანგარიშება

ა) წყლის მოცულობები (მოპოვება, მიღება, გაშვება, საკუთარი მოხმარება, შესყიდული წყალი, დამუშავებული წყალი, ხანძარქრობაზე გამოყენებული წყალი, გადატუმბული წყალი):

A კატეგორიის საიმედოობის მინიჭება ხდება მხოლოდ ისეთ მონაცემებზე, რომლებიც აღირიცხება შესაბამისი ხელსაწყო (მრიცხველის) მეშვეობით. **1 კატეგორიის სიზუსტის მაჩვენებლის** ხდება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც მონაცემები აიღება ელექტრომრიცხველის მეშვეობით და მონაცემების გაგზავნა ხდება ავტომატურად მონაცემთა ბაზაში, სიხშირით არანაკლებ საათში ერთისა. **2-დან 4-მდე კატეგორიის სიზუსტის მაჩვენებლების** მინიჭება ხდება ტურბინული ან სხვა ტიპის მრიცხველით მონაცემების აღებისას, სიზუსტის მაჩვენებელი დამოკიდებულია ჩვენების აღების ჯერადობაზე, მაგ., 2 ენიჭება მაშინ, როდესაც მონაცემები აიღება ყოველთვიურად, 3 ენიჭება მაშინ, როდესაც მონაცემები აიღება ყოველკვარტალურად, 4 ენიჭება მაშინ, როდესაც მონაცემები აიღება ყოველწლიურად.

B კატეგორიის საიმედოობის მინიჭება ხდება მხოლოდ ისეთ მონაცემებზე, რომელთა აღება ხდება ტუმბო აგრეგატების (იძულებითი მოპოვება) საპასპორტე მონაცემების, მოხმარებული ელ. ენერგიისა (ტუმბოს მოხმარებული ელ. ენერგია უნდა აღირიცხებოდეს დამოუკიდებლად, მრიცხველის მეშვეობით) და ტუმბო აგრეგატების ფაქტობრივად ნამუშევარი საათების მიხედვით ან შესაბამისი ტიპის სათავე ნაგებობიდან (თვითდენითი მოპოვება, როდესაც მოპოვებისას არ გამოიყენება ტუმბო აგრეგატები) გამომავალი მაგისტრალური მილის ტექნიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, როგორიცაა მილის მასალა და დიამეტრი. ორივე შემთხვევაში, იძულებითი იქნება მოპოვება თუ თვითდენითი, B კატეგორიის მინიჭება უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, თუ ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად ისეთი ტექნიკური მონაცემები, როგორიცაა ტუმბო აგრეგატის დეტალური მახასიათებლები (იძულებით მოპოვების შემთხვევაში) და მილსადენის ტექნიკური მონაცემები (თვითდენითი), დასტურდება შესაბამისი აქტივების ინვენტარიზაციის დოკუმენტით. რაც შეეხება **სიზუსტის მაჩვენებელს**, ის გვაქვს **2-დან 4-მდე** შუალედში და მისი განსაზღვრა დამოკიდებულია პორტატული მრიცხველით გაზომვის სიხშირეზე, რომელიც განისაზღვრება იდენტურად, როგორც ეს მოცემულია A კატეგორიის საიმედოობის მონაცემის შემთხვევაში.

C კატეგორიის საიმედოობის მინიჭება ხდება ისეთ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებზეც არ არსებობს შესაბამისი დოკუმენტაცია (მაგ., არ არსებობს აქტივების დეტალური აღწერა), მაგრამ შესაძლებელია მათი დადასტურება ვიზუალური დათვალიერების შედეგად, მაგალითისათვის ტუმბო აგრეგატს (იძულებითი მოპოვებისას) გააჩნია შესაბამისი აღნიშვნა აწევის სიმაღლის, წარმადობისა და კილოვატების შესახებ, მილი (თვითდენითი მოპოვების შემთხვევაში) ვიზუალურად ჩანს და მარტივია მისი მასალისა და დიამეტრის დადგენა. რაც შეეხება **სიზუსტის მაჩვენებელს**, ის გვაქვს **2-დან 5-მდე** შუალედში. სიზუსტის ცვალებადობა, როგორც ზემოთ მოცემული შემთხვევებისათვის დაკავშირებულია პორტატული ხელსაწყოთი წყლის

ხარჯის გაზომვის სიზშირეებზე, მაჩვენებელი 5 ენიჭება ისეთ მონაცემს, როდესაც პორტატული ხელსაწყოთი გაზომვა ჩატარებულია ერთჯერადად.

D კატეგორიის საიმედოობის მინიჭება ხდება ისეთ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებზეც არ არსებობს შესაბამისი დოკუმენტაცია (მაგ., არ არსებობს აქტივების დეტალური აღწერა), ამასთან შეუძლებელია მათი დადასტურება ვიზუალური დათვალიერების შედეგად. მაგალითისათვის, ტუმბო აგრეგატს (იძულებითი მოპოვებისას) არ გააჩნია შესაბამისი აღნიშვნა აწევის სიმაღლის, წარმადობისა და კილოვატების შესახებ, მილი (თვითდენითი მოპოვების შემთხვევაში) ვიზუალურად არ ჩანს და შეუძლებელია მისი მასალისა და დიამეტრის დადგენა, ხოლო რაც შეეხება მოწოდებულ ინფორმაციას, ის ეყრდნობა ექსპლუატაციის სამსახურის ვარაუდსა და გამოცდილებას. რაც შეეხება **სიზუსტის მაჩვენებელს**, ის გვაქვს 3-დან 6-მდე შუალედში. სიზუსტის ცვალებადობა, როგორც ზემოთ მოცემული შემთხვევებისათვის დაკავშირებულია პორტატული ხელსაწყოთი წყლის ხარჯის გაზომვის სიზშირეებზე, მაჩვენებელი 6 ენიჭება ისეთ მონაცემს, როდესაც პორტატული ხელსაწყოთი გაზომვები საერთოდ არ არის ჩატარებული.

ბ) საოპერაციო დანახარჯები (რეაგენტები, ელ. ენერგია, წყლის შესყიდვა, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი, მაგისტრალური მილების დაზიანების აღდგენაზე გაწეული დანახარჯები):

A კატეგორიის საიმედოობის მინიჭება ხდება ისეთ მონაცემებზე, რომლებზეც არსებობს შესაბამისი დოკუმენტაცია და მათი აღრიცხვა წარმოებს განდეტალეზულად თითოეული შემთხვევისათვის და მონაცემები არ არის გამოყვანილი რაიმე პრინციპის ალოკაციაზე დაყრდნობით. ამასთან, A კატეგორიის მინიჭებისას ყოველივე ზემოაღნიშნული მოთხოვნების გარდა უნდა არსებობდეს აქტივების დეტალური აღწერის რეესტრი. მაგალითისათვის, **რეაგენტების ხარჯზე** – შესაბამისი ჩამოწერის აქტები, სადაც მითითებულია რეაგენტის დასახელება, მათი რაოდენობრივი მაჩვენებელი, ღირებულება და კონკრეტული ობიექტი, სადაც მათი მოხმარება მოხდა. **მოხმარებული ელ. ენერგია** – შესაბამისი აღრიცხვის კვანძზე განხორციელებული დარიცხვა, რის მიხედვითაც ირკვევა, რა რაოდენობისა და ღირებულების ელ. ენერგიის მოხმარება მოხდა კონკრეტულად ამა თუ იმ ობიექტზე. **შესყიდული წყალი** – შესაბამისი ხელშეკრულება. **ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი** – შესაბამისი ლიცენზია, სადაც მითითებული იქნება მოსაკრებლის გაანგარიშების პრინციპი და ოდენობა, რომელიც გამოიყენება კონკრეტული წყალაღების წერტილისათვის. **მაგისტრალური მილების დაზიანების აღდგენაზე გაწეული დანახარჯები** – არსებობს შესაბამისი მასალების ჩამოწერის აქტი, სადაც მითითებულია ინციდენტის უნიკალური კოდი, დაზიანებული მილის დასახელება და მისამართი მასალების ღირებულების მითითებით. რაც შეეხება **სიზუსტის მაჩვენებელს**, ვინაიდან მოცემული შემთხვევისათვის საქმე გვაქვს ფინანსურ დოკუმენტებთან, რომლებზეც არსებობს შესაბამისი გატარებები ბუღალტერიის სისტემაში, ის მოცემული შემთხვევისათვის იქნება 1.

B კატეგორიის საიმედოობის მინიჭება ხდება ისეთ მონაცემებზე, რომლებიც A კატეგორიაში მოცემულ ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებენ, გარდა აქტივების დეტალური აღრიცხვისა. რაც შეეხება **სიზუსტის მაჩვენებელს**, ის მერყეობს 2-დან 4-მდე შუალედში და დამოკიდებულია მონაცემების ალოკაციის პრინციპზე, მაგალითად 2-ის მინიჭება ხდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც მოწოდებული მონაცემები არ არის რაიმე ტიპის ალოკაციის შედეგად გამოყვანილი (როგორც A შემთხვევაში), 3-ის მინიჭება ხდება ისეთ მონაცემებზე, რომელთა გამოყვანაზეც გამოყენებულია ალოკაციის აკრედიტებული მეთოდები. მაგალითისათვის: რეაგენტებისა და

ელ. ენერგიის ხარჯის ალოკაციაზე გამოყენებულია დამუშავებული წყლის მოცულობა, მაგისტრალური მილების ავარიებთან დაკავშირებით ხარჯები აღირიცხება გამიჯნულად (მაგისტრალების აღდგენის ცალკე გამანაწილებლის ცალკე) და ავარიების რიცხვისა და აღდგენის დროის მიხედვით საშუალოდ ნაწილდება დანახარჯები. რაც შეეხება წყლის შესყიდვის ღირებულებას, ის დაუშვებელია რაიმე ტიპის გასაშუალოებულ მონაცემს ეყრდნობოდეს, მასზე უნდა არსებობდეს შესაბამისი ხელშეკრულება. ბუნებრივი მოსაკრებელი თავის მხრივ ეყრდნობა შესაბამის ლიცენზიასა და უფლებამოსილი ორგანოს მიერ განსაზღვრულ საფასურს, შესაბამისად, ის ვერ იქნება B კატეგორიის საიმედოობის მქონე.

გ) აქტივების დასახელება, მდებარეობა და ტექნიკური მახასიათებლები (ინფორმაცია, რომელიც არ არის ცვლადი საოპერაციო საქმიანობის მსვლელობისას, ის შეიძლება შეიცვალოს კაპიტალური დანახარჯების განხორციელების შედეგად, როგორებიცაა: გამწმენდი ნაგებობები, საქლორატორები, სატუმბი სადგურები, რეზერვუარები, მაგისტრალური მილები, გამანაწილებელი ქსელი, სახანძრო ჰიდრანტები, სათავე ნაგებობები, მათი დასახელებები, მდებარეობა ტიპი და საპასპორტე მონაცემები და რაოდენობრივი მაჩვენებლები).

A კატეგორიის საიმედოობის მინიჭება ხდება ისეთ მონაცემებზე, რომლებზეც არსებობს შესაბამისი დოკუმენტაცია. ამ კონკრეტული შემთხვევისათვის კომპანიას ჩატარებული აქვს აქტივების დეტალური ინვენტარიზაცია და ანგარიშების ფორმებში წარმოდგენილი ინფორმაცია მარტივად არის იდენტიფიცირებადი შესაბამის ბაზებში.

B კატეგორიის საიმედოობის მინიჭება ხდება ისეთ მონაცემებზე, რომლებზეც არსებობს შესაბამისი დოკუმენტაცია, ამ კონკრეტული შემთხვევისათვის კომპანიას ჩატარებული აქვს აქტივების დეტალური ინვენტარიზაცია, მაგრამ ანგარიშების ფორმებში წარმოდგენილი ინფორმაციის მარტივად მოძიება შეუძლებელია, ვინაიდან ზოგი დოკუმენტი დაკარგულია, ეს მონაცემები არ არის შესაბამის სისტემაში ასახული, რის შემთხვევაშიც მარტივი საშუალებით იქნება იდენტიფიცირებადი თითოეული აქტივის შესაბამისი მონაცემები ან აქტივების ინვენტარიზაცია გაკეთებულია 10 წელზე მეტი ხნის წინ.

C კატეგორიის საიმედოობის მინიჭება ხდება ისეთ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებზეც არ არსებობს შესაბამისი დოკუმენტაცია (მაგ., არ არსებობს აქტივების დეტალური აღწერა), მაგრამ შესაძლებელია მათი დადასტურება ვიზუალური დათვალიერების შედეგად. მაგალითისათვის, რეზერვუარის ზომები აღებულია კომპანიის მიერ და მისი აზომვა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, ტუმბო აგრეგატებს გააჩნიათ შესაბამისი პასპორტები, მილსადენი ხილულია ვიზუალურად, რითაც მარტივად დგინდება მისი მასალა და დიამეტრი და ა.შ.

D კატეგორიის საიმედოობის მინიჭება ხდება ისეთ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებზეც არ არსებობს შესაბამისი დოკუმენტაცია (მაგ., არ არსებობს აქტივების დეტალური აღწერა), ამასთან, შეუძლებელია მათი დადასტურება ვიზუალური დათვალიერების შედეგად და ინფორმაციის მოწოდება ეყრდნობა ექსპლუატაციის სამსახურის ვარაუდსა და გამოცდილებას.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №53 - ვებგვერდი, 30.10.2020 წ.

დანართი №9 – მოკლევადიან და გრძელვადიან საინვესტიციო გეგმების ფარგლებში ჩასატარებელი სამუშაოების წინასწარი გამსხვილებული საორიენტაციო ღირებულების გაანგარიშების პრინციპები

№	მაჩვენებლის და სამუშაოს დასახელება	განზ.	რაოდენობა	ღირებულება (ლ)	
				ერთეულის	ჯამი
1	2	3	4	5	6
1	მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხის ინდექსი (DWPQ)	-	-	-	-
1.1	გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია	კომპლექსი	1.00		
1.1.1	ფილტრების შეცვლა	კომპლექსი	5.00		
1.1.2	ტუმბოების მოწყობა	კომპლექსი	10.00		
8	წყალარინების მილსადენებზე ავარიების ინდექსი (WWPB)	-	-	-	-
8.1	მაგისტრალური მილების რეაბილიტაცია	მეტრი	1,000.00		
8.1.1	d – 500 მმ-იანი მაგისტრალური მილები		500.00		
8.1.2	d – 1000 მმ-იანი მაგისტრალური მილები	მეტრი	500.00		
8.2	გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაცია	მეტრი	2,000.00		
8.2.1	d – 150 მმ-იანი გამანაწილებელი მილების რეაბილიტაცია	მეტრი	1,000.00		
8.2.1	d – 250 მმ-იანი გამანაწილებელი მილების რეაბილიტაცია	მეტრი	1,001.00		
ჯამი				-	-
შენიშვნა	მონაცემები შევსებულია მაგალითისთვის				

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №53 - ვებგვერდი, 30.10.2020 წ.